

დავით დეფი

•

თქვენ შორის ღმერთია



# დავით დევი

თქვენ შორის ღმერთია

სიესტა  
თბილისი  
2014

გამოცემაზე პასუხისმგებელი ჯგუფი სიესტა  
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე  
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე  
ილუსტრაცია ყდაზე | მაი ლაშაური

© დავით დეფი

© გამომცემლობა „სიესტა“, 2014

გამოცემულია 2014, თბილისი

**ISBN 978-9941-443-60-2**

გამომცემლობა შპს „სიესტა“

თბილისი, დოდო აბაშიძის ქ. 10

ტელ./ფაქსი: +995 32 2 92 31 49

ელ-ფოსტა: [books@siestagroup.ge](mailto:books@siestagroup.ge)

[www.siestabooks.blogspot.com](http://www.siestabooks.blogspot.com)

[www.siestagroup.ge](http://www.siestagroup.ge)



წიგნის გამოცემის მხარდაჭერისთვის,  
თანადგომისთვის მაღლობას ვუხდით  
ცეზარ ჩოჩელს და ხათუნა მიქაცაძეს



გეგას  
ანდროს  
დემეს





თქვენ შორის ღმერთია



\*

შენ სახეს ვხედავ, სამოთხეს ვხედავ.  
ანგელოზები სხედან და თვლემენ.  
შენში ივანებენ. შენშივე ფრენენ  
და სიცოცხლე ჩანს სიცოცხლის მერე.  
სიტყვებს წარმოვთქვამ და სუნთქვებსაც  
იმ წამს,  
ისინი სამყაროს გადაღმა გადააქვთ.  
უშენოდ არა ვარ ისეთი ვინც ვარ,  
უშენოდ სამოთხეც სამოთხე არაა.

ჰაერზე ვპოულობთ ჩვენ ფეხის სადგამს.  
მინაზე დგომა ჩვენ ალბათ შეგვშლის.  
მიყვარხარ ვინც ხარ ისეთი რადგან,  
შენს გარდა არაფერს დავეძებ შენში.

*დეფი 13 აპრილი 2013*

\*

ბევრჯერ მინდოდა მე მისთვის მეთქვა,  
წამოდი ერთად, ყავა დავლიოთ.  
რატომ ვარ ხოლმე ასეთ დროს ჩუმად.  
რატომ ვმუნჯდები და ხმას არ ვიღებ.  
სიტყვებო ჩემო რა გემართებათ.  
თავი არ მომაქვს ბედის გამრიგედ

და ისიც უსიტყვოდ მიყურებს, ჩუმად.  
მისი ის ფოტო აქვე დავიდე...  
აქვე, სულ ახლოს. სწორედ ის ფოტო,  
სადაც მის სახეს სიჩუმე უჩანს  
და გაღიმება, ო როგორ მომწონს.  
თითქოს ის სიტყვა სულ უკრთის  
ტურთან.

*დეფი 7 მაისი 2012*

## **ანგელოზებო თქვენ გესმით ჩემი**

ანგელოზებო თქვენ გესმით ჩემი.  
მთელი სხეულით მე ამას ვგრძნობ.  
მეამა სიმშვიდე, მე ამას ვიაზრებ  
და კარგად ვხედავ სად გადის დრო.

დღეს თავმა ჩემმა აქვე მომნახა.  
სიტყვები გადმომცა თქვენთვის  
საიდუმლოდ.  
სამყარო — სახლის ოთხივე ოთახმა,  
ერთად მიგვილო, მოდი დავიბრუნოთ,

ამ ოთახებში ჩვენ—ჩვენი ადგილი,  
სიზმრიდან სიკვდილის, სიცოცხლის  
გავლით,

სასიყვარულოდ ვარსკვლავებს  
ავყრიდით,  
მე ასეთი მნამს სამყარო — სახლი.

ანგელოზებო თქვენ გესმით ჩემი.  
თქვენა ხართ, ყოველი ჩვენგანის  
სუნთქვანი.  
იცვლება სამყარო, ავდივართ ქვევით,  
სიზმრებში რას ხედავთ, ერთმანეთს  
უთხარით.

თქვენ საკმაოდ გაქვთ ამისთვის დრო.  
იფანტებიან წამები ქვებად,  
როცა აქვე ხართ სხეულით ვგრძნობ,  
რა საოცარი სურნელი დგება.

*დეფი 9 მაისი 2012*

## **ჭკვიანმა კაცმა ასე თქვა ერთხელ**

ჭკვიანმა კაცმა ასე თქვა ერთხელ:

„ერთადერთი ადამიანი ვისაც უნდა  
შეედარო, შენ თვითონა ხარ,  
ოლონდ წარსულში.  
ის ერთადერთი ვისზე უკეთესიც

შენ უნდა იყო, შენ თვითონა ხარ,  
ვინცა ხარ ახლა.“  
ღმერთი შენ ნებას ხელს ხომ არ უშლის,  
ყოველი ჩვენგანიც აქ დაასახლა  
და მოგვცა დრო, ეს გავიაზროთ.  
დრო გადის.

*დეფი 11 მაისი 2012*

## **ანგელოზებო თქვენ ჩვენ შორის ხართ**

ანგელოზებო,  
თქვენ ჩვენ შორის ხართ.  
ყოველ ჩვენგანსაც თქვენ გამოარჩევთ.  
ახლოდან ვხედავ რა ჩანს შორიდან  
და სიმდიდრე მაქვს და თავის სარჩენს

ყოველთვის ვიმეტებ სხვების მისაცემად.  
ყოველთვის მახსოვს აქ რატომ მოვხვდი.  
კითხვას პასუხი ვინ მიანერა,  
წელში გამართულს,  
ან ფრთებში მოხრილს

ბევრ თქვენგანს ვხედავ  
და მესმის მათი,

მაგრამ ბოლომდე მაინც არცერთის,  
რამე სიგიჟე თუ დამემართა,  
სიგიჟის ზღვარზე თავს არ გავცემდი.

ერთად იგროვებთ,  
თქვენ ყველა სიბრძნეს  
და სამოთხისკენ, იქით, ვინც წავა,  
თქვენ ალბათ ხვდებით,  
ხომ სულ ჩვენ გვისმენთ,  
ამბავს მიაფრენთ, იცით ვისთანაც.

*დეფი 13 მაისი 2012*

\*

შენ თვითონ ნახავ ყველაფერს.  
არაფერს გეტყვი წინასწარ.  
სიზმარი სადღაც მიმაფრენს.  
მე ისევ ისე მიყვარხარ.

*დეფი 15 მაისი 2012*

\*

როცა ვინმე კვდება, მე ვკვდები.  
როცა ვინმე იბადება, მე ვიბადები.  
მე უკვდავი ვარ და მე ვარ შენ.  
შეგიყვარე და მოგარჩენ.  
სიმარტოვისგან.

*დეფი 15 მაისი 2012*

## 12

იასამნისფერ ანგელოზს  
ჩემი სრულყოფის ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
სამართლიანობა სისასტიკეა დეფ.“

ლურჯ ანგელოზს  
ჩემი თავისუფლების ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
გონება ეშმაკობაა დეფ.“

ცისფერ ანგელოზს  
ჩემი სიზმრების ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
ძალაუფლება ძალადობაა დეფ.“



მწვანე ანგელოზს  
ჩემი სიმშვიდის ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
ღირსება ამპარტავნობაა დეფ.“

ყვითელ ანგელოზს  
ჩემი რწმენის ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
სიმდიდრე ანგარებაა დეფ.“

ნარინჯისფერ ანგელოზს  
ჩემი ბავშვობის ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
აღზრდა თვალთმაქცობაა დეფ.“

წითელ ანგელოზს  
ჩემი სიცოცხლის ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
რწმენა ილუზიაა დეფ.“

თეთრ ანგელოზს  
ჩემი მეტყველების ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
სიმართლე განქიქებაა დეფ.“

რუხ ანგელოზს  
ჩემი სიკვდილის ნიშანი დააქვს.

მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
ქება სიყალბეა დეფ.“

შავ ანგელოზს  
ჩემი საიდუმლოს ნიშანი დააქვს.  
მან მითხრა: „უსიყვარულოდ,  
შენ არ გაჩნდებოდი დეფ.“

უფერო ანგელოზს  
ჩემი სულის ნიშანი დააქვს.  
ის გამჭვირვალეა და მან მითხრა:  
„სიყვარულია ერთადერთი,  
ვინც გარდაგსახავს,  
ფერისცვალებას განგაცდევინებს,  
დღეს

და შენ ეს იცი ჩვენზე კარგად  
და შენ აქამდე მოხვედი.  
დრომ სათვალავი დაკარგა.  
ჩვენ ვართ შენს ირგვლივ თორმეტნი.“

*დეფი 16 მაისი 2012*

\*

ზეცა, მეგობარო, ჩვენში ყოფილა.  
ადრეც ვიცოდით, მაგრამ დღეს ვნახეთ.  
ყოველი სიტყვა, ყოველი სტროფიდან,  
მთელი სამყაროს მაჩვენებს სახეს.

მთელი სამყაროც რაღაცით შენ გგავს.  
ამდენი ხნის მერე ჩვენ არ შევცვლილვართ.  
ნათქვამი სიტყვები დაბრუნდნენ ჩვენთან.  
ისევ სიჩუმე, გვესმის ზეციდან.

*დეფი 16 მაისი 2012*

\*

სული მიდგას მღუმარების  
ლექსიკონით.  
ჩემი სული მეტყველია.  
მე სიჩუმეს ვესტრიქონე,  
შევესიტყვე, შენც გეტყვიან  
სიჩუმენი,  
ქვეყნის ყველა საიდუმლოს,  
სხივზე ნოლას ვისურვებდი,  
სიმსუბუქემ განმიკურნოს...

და სამყაროს სიჩუმეში  
შენ სიყვარულს მივუბრუნდე  
მსურს.

დეფი 21 მაისი 2012

## მომესმის სუნთქვა შენი სიზმრიდან

რაღაცა არ მახსოვს, რაღაცა მახსოვს.  
რაღაცა მიდის, რაღაცა რჩება.  
რაღაცა შორსაა, რაღაცა ახლოს.  
სუნთქვა დამყვება სიცოცხლის ჩვევად.

თითქოს შევეჩვიე ახლა აქყოფნას  
და სიბნელეშიც სხივებით თოვს  
და თავი ჩემი მაინც არ მყოფნის  
და შენთან მინდა ვიკმარო დრო

და გაუგებარს რას გეუბნები  
და სასწაულის ჩვენ ისევ გვჯერა  
და ჩვენ თვითონ ვართ სასწაულები  
და ახლოს ჩემთან სიცოცხლის ჩვევად

მომესმის სუნთქვა შენი სიზმრიდან,  
სიზმრები შენი მე ყველა მახსოვს,

ყველა მდინარეც ზღვამდე მივიდა  
და ხან შორსაა და ხანაც ახლოს,

ზღვის ჰორიზონტის დიდი სიმშვიდე,  
ნიშანი წასვლის ანდა აქყოფნის  
და ღია ცის ქვეშ მე სულს ვიმშვიდებ  
და ეს სიდიდეც ახლა არ მყოფნის.

*დეფი 30 მაისი 2012*

## **დღეს ღია ცის ქვეშ**

დღეს ღია ცის ქვეშ სხეულს ვიმშვიდებ.  
დღეს სულს ვიმშვიდებ და ღვინოს ვისხამ.  
ისევ სიმშვიდე. ყველგან სიმშვიდე.  
ჰო, მე სიმშვიდე მაგონებს იმ წამს,

როცა ვუყურებდი პირველი ნახვისას,  
როგორი შიშველი მოჩანდა მაშინ,  
თმები გაისწორა და სადღაც წავიდა,  
თმებს ისევ შეიკრავს და ისევ გაშლის,

მაგრამ მე არ ვიცი ისევ თუ თვალს მოვკრავ,  
არც მინდა ვიცოდე ხვალ ან ზეგ რა მელის,  
მოლოდინს ვამგვანებ ცარიელ ოთახს,  
ასეთი წამები, რამდენი, რამდენი,

იყო და არის და ალბათ იქნება,  
ან შეიძლება არც აღარასდროს,  
სიშიშველე მისი, ღამით ჩანს, მთიებად,  
მთიების ნახვას ო ნეტავ დამასწროს

ისევ სიმშვიდემ, ჩემშიც და ჩემს ირგვლივ,  
ის ხომ თავის თავს ჩემ სიზმარს უნახავს,  
ქვეყნის საიდუმლოს ერთ წამში მივხვდი,  
მაგრამ არ ვიცი, გავამხელ თუ არა.

*დეფი 4 ივნისი 2012*

\*

ყველაფერია შესაძლებელი.  
შეუძლებელიც ყველაფერია.  
რატომღაც, ყოველთვის,  
ყველგან შენ გელი, ჩემი  
განცდებიც ჩემში მღერიან  
და მეტყველებენ,

ისეთი სიტყვებით, ისეთ ენაზე,  
რომელიც ხშირად არავის ესმის,  
მე მოლოდინი, სიმშვიდეს შემაჩვენებს,  
სიმშვიდე არსია ყოველი ღმერთის,  
ამდროს ისინი, ვგრძნობ,  
მეტყველებენ,

ზოგჯერ მგონია ყოველთვის აქ ხარ.  
ყველაფერია შესაძლებელი.  
ყველაფერი ხომ დღევანდელია.  
მართლაც ყოველთვის ყველგან შენ გელი  
და სიჩუმენიც ყველგან მღერიან  
და მეტყველებენ,

მე მესმის მათი, ჩემდაუნებურად,  
ასეთ დროს სიმშვიდე ბავშვობას მაგონებს.  
მსურს თავი ჩემი შენთან დავაბრუნო,  
შენ ჩემ სახლს გავხარ, ადვილად საპოვნელს  
და ეს მგვანებაც რა მეტყველია.  
სიზმარნი შენნი, ჩემში მღერიან.

*დეფი 9 ივნისი 2012*

\*

ყოველთვის,  
ყველასგან გამოგარჩევდი.  
ყოველთვის,  
ვიცოდი, ისა ხარ ვინც ხარ.  
ერთად ყველანი და დანარჩენნიც,  
ითხოვდნენ, სამოთხის კარამდე მისვლას,

ილტვოდნენ,  
უშენოდ, თითქოს საითაც,

უშენოდ,  
სამოთხე სამოთხე არ არის,  
ქვეყნის საიდუმლოც ხომ უკვე აიხსნა,  
პირველშობილი ბავშვების ნახატით.

პირველშობილია  
ჩემში სიცოცხლეც.  
შენ,  
ხომ ჩემში ხარ და ხარ სიცოცხლე,  
აღარ მსურს ვიცოდე სხვა არაფერი,  
ინვოდე ჩემში, სამშობლო მიწოდე.

შენ,  
ჩემში ჩნდები, მე ვარ სამშობლო,  
შენთვის,  
ჰო შენთვის, ჰო, უსასრულოდ,  
მსურს უსასრულოდ შეგესათნოო,  
უსასრულობაც დავისასრულო.

შენ,  
ხარ პასუხი ყველა ჩემ კითხვაზე,  
შენ,  
როცა გიგრძნობ კითხვები მიქრება,  
როცა სიზმარიც, სულ სადღაც მიმაფრენს,  
როცა სიჩუმეც, ხორცს ისხმას სიტყვებად.

*დეფი 12 ივნისი 2012*



\*

აქ და ახლავე მჭირდება,  
ყოფნა.

შენი არსებობა ჩემში,  
ივანებდეს.

აქ და ახლავე და არა  
სხვა დროს,  
მჭირდება ყოფნა,  
ღმერთის სავანეში.

გაუკვდავება,  
მართლაა შესაძლო,  
ამიერიდან სად იქნებიან,  
მარადისობანი,  
როგორ ვემზადო  
მათთვის,  
ცხოვრება წამიერია.

გავჩნდი ცოცხალი,  
მოვკვდები ცოცხლად,  
ყოფნა,  
აქ და იქ,  
ისევ იმავე ღმერთს,  
შეესუნთქება, მან  
სიტყვა მომცა,  
შენი არსებობა ჩემში  
ივანებდეს.

დეფი 14 ივნისი 2012

\*

ჩემ ხელისგულებზე ხაზები იცვლება. ნახე.  
ჯვრები ამოჩნდნენ. სამკუთხედები. აი...  
ნისლივით თრთიან წრეებიც სიზმრებთან. ვახელ,  
თვალებს და ვიცი...  
ღამეებს გავუთეთრდები.

*დეფი 16 ივნისი 2012*

\*

სიზმრები შენი მიმოგაფრენენ. ვგრძნობ.  
თითქოს ვერასდროს მაგნებდი, რატომღაც, თუმცა,  
ნამწვავებით გაქვს სავსე საფერფლე, ჰო,  
შენ ძილი გიყვარს, ჰო ძილი გიყვარს,  
რადგან მარტო ხარ.

*დეფი 16 ივნისი 2012*

\*

აქ, ახლა ჩემ წინ, ყველაფერია. აქ.  
ყველაფერი კი ცოტა არ არის. გესმის?  
ყოველ შენ სუნთქვას, განსაცვიფრებლად,  
მართლაც ფრთები აქვს,

ყოველის სუნთქვით წამოცოცხლდება  
ყოველი ლექსიც.

დეფი 16 ივნისი 2012

\*

ნუ გეშინია, რაღაცა იცვლება.

ვხედავ.

მე მიგანიშნე როგორი ვიყავი და ახლა ვინ ვარ.

შუქს გამოყევი, გარდაისახე სხივებად.

ხმებად.

შენ სიჩუმეზე და ბაგეებზე დამწერე სიტყვად.

მერე გაანდე თავი ჩემი სხვა

ნებისმიერს.

მერე ამომთქვი, როცა მინატრებ და მომისურვებ.

კვალდაკვალ მიყევი საიდუმლოს.

გამოიკვლიე.

განფენილია მთელი სამყარო შენ ხელისგულზე.

დეფი 16 ივნისი 2012

\*

იქ ნამყოფია ყოველი ჩვენგანი.  
მინის ფერები გვანან ცის ფერებს.  
ჩვენ ხომ სამოთხეს ყოველწამს  
შევნატრით, იქ თუ ააღწევ  
მე გამიხსენე.

ამბავი უთხარი,  
აქ რა ხდებოდა. მათ შეიძლება  
აღარც ვახსოვართ, სადღაც ხმა ისმის  
მათი ზემოდან, სთხოვე განაგრძონ,  
ჩვენდა სახსოვრად,

*დეფი 16 ივნისი 2012*

## **თვალეხს როცა ვხუჭავ**

თვალეხს, როცა ვხუჭავ,  
სურათეხს ვხედავ.  
ყურებზე ვიფარებ ხელეხს  
და მესმის,  
ხმები სიბნელის,  
წინათგრძნობების  
და ჟღერადობა  
სიჩუმის. ლექსის.

ყოველი სიტყვის,  
ასობგერების,  
მთელი კოსმოსი  
სიჩუმეშია  
და მე ვარ იგი,  
მთელი კოსმოსი,  
სინათლეს ფესვები,  
სიბნელეში აქვს  
ისე გადგმული,  
როგორც მე შენში,  
ყოველი სიტყვით,  
ასობგერებით,  
სიბნელე შუქებს  
თმებივით შეგჭრის  
შენ კი, იმ შუქებს  
განესვენები.  
ყოველთვის ყველგან,  
შენკენ მოვინვე,  
დამყვება მტვერი,  
თითქოს სიზმართა,  
მოდის და გადის  
და რჩება დრო ისევ  
და ყველგან მესმის —  
„მე შენ მიყვარხარ.“

*დეფი 19 ივნისი 2012*

## სიჩუმე წიგნის სახლში

ახლა სიჩუმეა...

კარი იღება...

შემოდის ძმა და ჯდება ჩემ გვერდით.

წამით იცვლება სიჩუმე წიგნებად.

ყველაზე ძვირფასს გაგანდობს. გეტყვის...

მე და ჩემი ძმა,

ყავას ვსვამთ. ვენევით.

ის კი ჩუმადაა... ის მასზე ფიქრობს

და ნაწიგნარი სიჩუმის ფერწერა,

გადმოდის ჩვენზე. გვამშვიდებს თითქოს...

სიჩუმე,

ინყებს განფენას ჩვენში...

აიკრიფება მტკვერიც წიგნებად.

მისი არმოსვლა ჭკუიდან შეშლის...

მაგრამ ის შემოდის... კარი იღება...

*დეფი 23 ივნისი 2012*

\*

შენ ახლა გძინავს.  
რას ხედავ მითხარი.  
დავითელი სამამდე.  
თვალეებს გაახელ.  
თუ მოჩანს  
სიკვდილის სახება  
სიზმარში?  
სააქაოში ატარებს სხვა სახელს...  
სხვა შინაარსით  
ის ჩვენთან მოდის,  
ის ისეთია,  
როგორიც ჩვენ ვართ,  
სიმართლეს თუ გეტყვი,  
გექნება შოკი,  
თავს გააიგივებ  
ყოველთვის  
სხვებთან...  
მე კი სულ მინდა,  
დარჩე ის ვინც ხარ,  
რას ხედავ მითხარი,  
თუ ხედავ რამეს,  
მიაგავს, ხანდახან,  
მეძავიც წმინდანს,  
მსგავსებებმა კი,  
ზეცა გაახარეს...

ანგელოზებით  
და ღმერთით სავსე,  
ზეცა შენ ტვინშია,  
შენ ახლა გძინავს,  
შენ სიზმარს ახლა  
ჩემი ხმაც ავსებს,  
სიჩუმეს აკინძავს  
ის როგორც მძივებს...  
რას ხედავ მითხარი,  
ხომ იმახსოვრებ?  
ყველაფერსა აქვს  
ახლა მნიშვნელობა,  
შენთან დავრჩებოდი  
სიზმარში სახსოვრად,  
სანამ სიცოცხლე  
გადაიშლებოდა...  
ყოველი ჩვენგანის  
ამოსაცნობად,  
გამოსარჩევად,  
გადასარჩენად,  
მომინდებოდა  
მე შენთან ყოფნა  
სიზმრად სინათლეებს  
ჩრდილებიც  
ახსოვდათ...  
ჩრდილები, როგორც



აქყოფნის კვალი,  
როგორც მონატრება  
შეუცნობელის,  
გადის ცხოვრება  
ერთ წამში გადის,  
ინყება მთავრდება,  
ყოველთვის გელი...  
სიზმრად თუ ცხადად,  
ორივე ნაღდია,  
ორივეს შენ მართავ,  
აკინძავ მიძივებს...  
სიჩუმე მეტყველებს,  
გალობს და ხატავს,  
ჩემი ხმა თუ გესმის,  
შენ ახლა გძინავს.

*დეფი 23 ივნისი 2012*

## **ჩემში გამოვსახე**

ჩემში გამოვსახე თითქოს ბავშვობიდან  
მე სახე შენი...  
გამოვისახე სახე და სახელი  
დავირქვი ზეცის. მეც მჭირს ხანდახან  
გაუცხოება. რა ხდება გეტყვი...

ახლა ორმოცდაოთხის ვარ.  
უსასრულობის ნიშანი მშვენიის.  
როგორც შენ გშვენიის დიდი მოთმინება.  
მნებავს მიყვარდე...  
ეს მსგავსებაა ყოველთვის ჩვენი.

ყოველთვის, ყოველთვის ჩუმიად ხარ.  
ვიცი...  
ახლაც ჩუმიად ხარ. არაფერს მეტყვი?  
აქ განგაშია. სამყარო ინვის...  
ზეცის ნაფშხვენი სხვენიდან ცვივა.  
ზეცაც ჩამოხმა სიმყრალით დენთის.

ომია.  
ვიცი... ომი სულ არის...  
ომი ყველგანაა და სულ იქნება...  
ომია...  
ჩვენში, სავსე სულამდე...  
მკვდართა სისხლები იქცნენ სხივებად.

სანამ ჩავთვლემდე მე ჩემ წიაღში,  
წამებით ადრე... წუთებით ადრე...  
მე თიხასავით ჩემ სულს მივაფშვნი  
სიზმარს... და გეტყვი: — სიმშვიდედ დამდე...

ომი თანდათან სულ უფრო იზრდება.  
სიმშვიდე ვიდრე გაიცისკროვანებს...  
კვლავ გეჩრდილები შენივე სიზმრებად...  
სიზმარიც დაირქმევს ჩემნაირ სახელს...

რადგან გამოგსახე თითქოს ბავშვობიდან.  
ჩემი სახე ხარ და არსებობა...  
და სამოთხენიც აქვე ყოფილან...  
ცაც დედამინას არ განეყოფა...

მეც არ განვეყოფი სრულყოფილებას...  
ჩემშია ყველა, ვისაც უცხოვრია...  
და ვინც გაჩნდება ჩემგან გაჩნდება...  
აღსასრულამდე მაინც შორია...

ბოლოს ყველაფერი კარგადაა ხოლმე.  
თუ კარგად არაა, ეს არაა ბოლო.  
სახება შენი ჩემში დავიხსომე.  
არასდროს არ მინდა რაიმე გთხოვო.

ცხოვრების აზრი რაშია ვიცი...  
რომ აზრი მივცე თვითონ ცხოვრებას...  
სამყარო იფშვნება, ჩემ თვალწინ იწვის...  
სიბნელე მისი მესხივოსნება.

*დეფი 26 ივნისი 2012*

## გახსოვდეს მეგობარო

გახსოვდეს მეგობარო,  
მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ რამეს,  
ახლა და ამწამს რასაც განიცდი.

რაც არ უნდა დიდი მანძილი,  
იყოს ჩვენ შორის,  
თუ გინდ სასწაულს ჩვენ ახლა ველით  
და ვეთრთოლებით,  
სიშორე ჩვენი, მაინც ვერ გვჯობნის,  
ჩვენ საუკუნის ვართ მეგობრები.

ჩემ ხმას კითხულობ ან ჩემ ხმას ისმენ,  
ან ჩემ ხმას ხედავ, სიტყვებს შეიგრძნობ,  
ეტრფი სიმშვიდეს ისევ და ისევ,  
სწორედ ახლას, ახლა შენი დრო.

გახსოვდეს მეგობარო,

მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელობა აქვს  
ერთადერთ რამეს, სიკვდილიც  
სიცოცხლის მნიშვნელობაა და  
სიზმარივით გადაიღამებს

და გაიღვიძებ ახალ სამყაროში,  
ყველა შენიანი შენ იქ დაგხვდება,

თითქოს ყველა საქმე სწორედ ახლა მორჩი,  
შენს წინ დაინახე ღმერთის სახეცა,

ის ისეთია, როგორიც შენ ხარ,  
ზუსტად, სიტყვა სიტყვით შენივე ასლი,  
შენ დგახარ ახლოს, სამყაროს სხვენთან,  
სიტყვის სურნელება ჩვენ სუნთქვებს ასდით

და ჩვენ ერთმანეთს სიზმრებით ვამკობთ,  
თითქოს ბავშვები ოთხი, სამი წლის  
და არ არსებობს აღარსად სხვა დრო,  
შენ ხომ აქა ხარ და აქ განიცდი.

*დეფი 29 ივნისი 2012*

## **ზოგჯერ შენთან ვარ ყველაზე ახლოს**

ვუბრძანებ ქაოსს, გახდეს წესრიგი!

ვუბრძანებ სიკვდილს, გახდეს სიცოცხლე!

ვუბრძანებ ომს, გახდეს მშვიდობა!

მე აღარ მინდა რამე ვიცოდე,  
იცი, ცოდნისკენ მიისწრაფოდა,

სულ ჩემი სული, მაგრამ დღეიდან,  
ალარაფერი მინდა ვიცოდე,  
გარდა ერთისა, შევძლებ თუ არა,  
მე შენ სიყვარულს... ნუთუ ეღირსა...

სამყაროს შვება? ფრთოსნები ფრენენ,  
სიზმარი სიცხადეს თავისთან მალავს  
და თუ სიმართელს გავიგებ, მერე?  
შემრჩება რწმენა? სურვილი, ძალა

კიდევ შემრჩება თავის გადარჩენის?  
ვუბრძანებ სიბნელეს ამოინათოს!  
მე პლანეტაზე დიდხანს დავრჩები,  
ზოგჯერ შენთან ვარ ყველაზე ახლოს,

ზოგჯერ შეცნობა ჩემი აქყოფნის,  
ცრემლებს ისეთი სიმწრით მომადენს,  
მე ვერ აგისხნი და გზაც არ მყოფნის  
იმ სამშვიდობოს მისადგომამდე,

დავდგე და გითხრა, მალე შევხვდებით,  
მალე მე ძალას ისევ მოვიკრებ,  
რალაც მოხდება თითქოს შემთხვევით,  
ერთმანეთისკენ წავალთ ორივე.

*დეფი 29 ივნისი 2012*

\*

Я замираю, сливаюсь с тенью, что вдали  
Прислушиваюсь к тишине и чуть дыша,  
Лучи и запахи ко мне вдруг подошли,  
Я что во сне? Видениями полнится душа.

Инга, привет. Здравствуй, Дэф.  
Мы падаем, скользим, как с ветки шелковицы.  
Смотри за тенью, какой-то нежный свет,  
Прислушайся. Там тайна уяснится.

*David Dephy August 3 2012*

## ის ისმის

ის,  
ისმის ჩემივე სულიდან.  
ჩემივე ტვინიდან.  
და სიზმრებიდან.  
ის,  
ისმის ჩემში და ისმის  
შენამდე. შევებე უხილველს.  
ხილულსაც შევახე

მე, სული ჩემი.  
მუსიკა ჩემგან.  
სიტყვად ამონათდა,  
სუნთქვას გადაედო.  
იქნებ სინათლე სინათლეს აქ შეხვდა.  
აქ, ჩემ წიაღში, ყველასთვის საერთო,

ისაა, არყოფნის, ყოფნის მიზეზი.  
ჭკუიდან შეშლილი გგონივარ იქნებ.  
შუქებს მაჩუქებს, სიზმრებად მესვრის,  
ისვე ამთავრებს და ისევ იწყებს,

ჩემში და ჩემ ირგვლივ,  
სამყაროს შექმნას,  
იქნებ, იგივე მეც შემიძლია,  
თუ შემიყვარდი მეც შემიძლია,  
ზუსტად იგივე მეც შემიძლია.

ის,  
შენშიც ისმის, შენივე სულიდან,  
და მის შინაარსს უსიტყვოდ  
გეტყვი,  
მე ასე მშვიდები, მე ასე მწყურისხარ.  
ის, ჩვენში ფეთქავს, მუსიკა...  
ღმერთი.

დეფი 17 აგვისტო 2012



## შემომანათე

### 1

შენი ნათელი შემომანათე.  
ახლა სიტყვებისთვის მე დრო  
არ მრჩება. ახლა ხარ, იქნები,  
იყავი მანამდეც, სხეულით ღმერთის  
და სამ სახებად,

გადაწვდენილი უსასრულობა.  
გადაწვდენილი ჩემივე სულში.  
დღეს შენი მაცნე, ჩემთან სტუმრობდა,  
და მის ბაგეებს სიტყვები უკრთის.

დიახ, ის სიტყვები, მე რითიც ვსუნთქავ.  
სიცოცხლე ჩემი შენთან დარჩება.  
ჩამესმის სიკვდილიც ხანდახან ყურთან,  
სხეულით ღმერთის და სამ სახებად,

როცა კი ვიაზრებ დასაწყისს ყველაფრის,  
დასასრულამდე და მერე ისევ,  
მთელი სამყარო, ჩემიდან შენამდე,  
აღფრთოვანებას თავიდან იწყებს.

შემომანათე მთელი პოეზია,  
მე დედამიწა გვერდით დამყვება,  
ფიქრები შენნი მე მომესმიან  
სხეულით ღმერთის და სამ სახებად.

## 2

ღმერთებო, ახლა თქვენ მოგმართავთ,  
ჩემში მცხოვრებო ღმერთებო,  
მე ზეცა ვარ თქვენი, გნებავთ,  
მე უსასრულო ვარ თქვენთვის,  
უსასრულობა მთავრდება ღმერთთან  
და იქვე იწყება ჩემი არსობა.

ერთადერთ ღმერთთან, ვისთანაც ივანებთ,  
ჩემს მიღმა თითქოს და ყოველთვის ჩემში,  
თავს იერთიანებს ყოველი სიმრავლე,  
ვიცი, სიჩუმეც რა პასუხს მეტყვის,

ყოველ ჩემ კითხვაზე, რომლებიც აღარ მაქვს,  
ძველი სიზმრებივით ისინი გაქრნენ,  
სამყაროს იქით, აგე იქ, გადაღმა  
სხვა სამყარო ჩანს ღვთაების სახედ,

ღმერთებო გესმით? მითოლოგიიდან  
და უფრო შორიდან მე აღთქმა თქვენი  
მეამა თითქოს და ის დრო მოვიდა,  
როცა სიშიშვლე თქვენ ასე გშვენით,

ახლა აიფადით თქვენ გათვალისწინებთ,  
თქვენი შთაგონება მეუცნაურება,  
სავანეების სულ დასალიერზე,

ნატვრანი მოგიჩანთ მოლურჯო  
ღრუბლებად,

ხანდახან ჩემში ხართ, ხანდახან არა,  
ღმერთს რადგან ერთადერთს თავი დავუთმე,  
თუ ცხადის სიმბოლოს სიზმარი მალავს,  
სიტყვები რჩებიან სინათლის საუნჯედ,

ღმერთებო ანტიკის, ვიცი მე მიცნობთ,  
ის, ერთადერთი, სამოთხეს მჩუქნის,  
იქ, გზაზე მოჩანს ფართე ან ვიწრო,  
სიჩუმით დაფლული საფლავი უფლის,

მე ამოვიცანი ჩემივე თავში,  
ერთი განმარტოვდა ყველასგან გნებავთ,  
ახლის წინათგრძნობა სამყაროს გახსნის,  
უსასრულობა მთავრდება ღმერთთან.

### 3

უსასრულობას ფორმა აქვს.  
ჩვენ ხომ სამყაროს შიგნიდან ვუყურებთ.  
ის ხომ გარედან არავის უნახავს,  
რადგან ის უსასრულოა.

და რა მოხდება თუ დავინახავთ,  
სამყაროს გარედან უსასრულობის?

გინდ ღვთის მუსიკას, გინდაც ღვთის ნახატს,  
ღვთის პოეზიას, სისხლად სულ მომდის,  
უსასრულობა.

უსასრულობას მრგვალი ფორმა აქვს,  
მისი სიმრგვალეს მრავალნაირია,  
წარმავალს აქეთ, იქით მომავალს,  
ქვევით ჩამავალს ზევით აივლიან

აღქმანი ჩვენი, განზომილებებს,  
ვიხილო მზად ვარ დაბადებიდან,  
თუ კი ავტორი ისევ ინებებს,  
ოჰ, საიქიოდ წამალვინა,

ნეტავ შეგრძნებანი მე სააქაო,  
სწორედ იქ მოჩანს, სამყარო გარედან,  
წამს სურს მთელი დრო აქ დაამთავროს,  
ღმერთის მახლობლად, ის კარს აღებდა,

როცა კი შედგა და დაიმშვენა,  
თავისი სახე მთლიანი დროიდან,  
გარედან სამყარო ვნახე იმქვეყნად,  
ხელის შეხებაც მისი მომინდა.

წამი უსასრულო, წამი სიცოცხლის,  
მინდა ვუსახსოვრო ყოველ ჩემ შემხვედრს,

იქ შუქებს ღვრიდნენ, ოჰ მათ ვინ მოთვლის,  
შუქის მარცვალ ნეტავ კი შემხვდეს,

მიმოვთესავდი ჩემივე გზაზე,  
სამყაროს გავლით ჩემი თავისკენ,  
განზომილებანი ჩემშივე ვხაზე,  
სულის აგება ზეცად დავინყე

და ავაყვავე შუქების სამყარო,  
უსასრულობა, იმ ერთ ნამს გეტყვის,  
მომრგვალებული ფორმის სამყარო,  
შეხვედრის ადგილი კაცის და ღმერთის.

*დეფი 18—21—22 აგვისტო 2012*

\*

მე დავკარგე მდინარეები და ზღვები,  
ის დღე მე კარგად მახსოვს...  
და არც კი მინდა მისი დავინყება,  
მაშინ დავკარგე მთები და ხეობები,  
ის დღე მე მახსოვს.  
მე მეშინოდა.

განგაში მესმოდა ჩემივე სიღრმიდან.  
ფიქრები თრთოდნენ, იმალებოდნენ.

მაშინ აქ მინდოდა, ახლა იქ მინდა.  
მინდვრის სინყნარენი  
სხვა მიღმა მდელიომდე...  
დავკარგე...

დავკარგე...  
სუნთქვები, ადრე ოჰ ადრე,  
სიზმრები დავკარგე სულ რაღაც ერთ წამში,  
შიშები მშივრები, მღრნიდნენ და მჭამდნენ...  
ახლა კი იშლება და უფრო გაშლის

უსასრულობას...  
ჩემი დანაკარგი,  
გადაიშლება გარშემო შუქებად,  
უსასრულობაც ჩემით ლაპარაკობს,  
თუ კი საზღვრებიც გამოუჩნდება,

ვხედავდი მაშინაც სწორედ იმ საზღვრებს  
და მთელ სამყაროს ერთ წამში ვკარგავდი,  
ძალზე უცნაური ნისლებიც კი ვნახე,  
სევდის სასიკვდილე მოლურჯო ნაქარგით,

ვკარგავდი საერთოდ დროის შეგრძნებას,  
დრო და სამყარო ირგვლივ დაიღუნა,  
დადნა ზუსტად ჩემ წინ... ღამის ფერდებად,  
ასეც ჩაიკარგა ვარსკვლავთაიგულად

და ის ზეახალნიც სადღაიც მივკარგე,  
მოგონებები, სურნელებანი,  
ქარების შფოთი და თოვლების სიმკაცრეც  
გაქრნენ ერთ წამში, მე იმ წამს შევნატრი,

როცა ის გაჩნდება სადღაიც ხან და ხან,  
სად ვქრები მე თვითონ...  
ან იმ დღეს რა ვქენი...  
როცა კი მივხვდი, მე აღარა ვარ  
და თან ყველა ვარ და ყველაფერი.

*დეფი 26 აგვისტო 2012*

## **წამი სიცოცხლის**

ყოველწამსაა წამი სიცოცხლის.  
ძველ აღთქმას ირჩევს ღმერთი  
თუ ახალს?  
როცა მოკვდები მაინც იცოცხლებ.  
წამი სიცოცხლის შენ თვითონა ხარ.

*დეფი 4 სექტემბერი 2012*

\*

ნინ წავლენ დრონი. სიზმარნიც  
ნინ წავლენ... მე სიმღერანი  
აქვე მომესმიან. ზეცის ბინადარს  
დედამინაზე, სისხლში დამიდის  
შუქი პოეზია.

*დეფი 10 სექტემბერი 2012*

\*

მთლიანი ცაა  
ჩემი სამშობლო,  
მთლიანიცაა.  
ჩემში ვინცაა  
ნუთუ ის მე ვარ  
ჩემში ვინ ცაა.

*დეფი 10 სექტემბერი 2012*

## **ერთადერთი სიტყვით**

მე არ წავსულვარ,  
მაგრამ მოვედი.  
მე არ მომკვდარვარ,  
მაგრამ გავცოცხლდი.



ერთმანეთს ცვლიან თვენი თორმეტნი.  
ახლა რაც ვიცი, სწორედ ამ ცოდნით,

ჯერ არ გამიცვნიხარ,  
უკვე შეგიცანი.  
ჯერ არ მინახიხარ,  
უკვე შემეყვარდი.

მდუმარება მაქვს თითქოს ფერით მწვანე,  
მეტყველება მაქვს ყველა სიტყვით ნაღდი.

ჯერ არ მინატრია,  
მაგრამ ამისრულდა.  
ხილვა ნაწვიმარი,  
ოქროს ცვარიანი,

დილა განსხეულდა თითქოს ღამის სულთან,  
ათასწლეულებიც წამში გავიარე.

თითქოს არც წავსულვარ,  
თითქოს აქაც არ ვარ,  
თითქოს დასასრულთან,  
როგორც სახლის კართან,

ისევ ისე ვიწყებ მე შენს ამოცნობას  
და იმ თორმეტივე თვემაც დაიზამთრა,

რამე მოზღაპრული  
თითქოს სიზმარებით,  
რიტმებს აზროვნების  
და სიჩუმის რითმას,

მე ხომ ბავშვობიდან სულ თავს მივართმევდი,  
აზრიც ყველაფრისგან ასე გამოითქვა:

ერთადერთი სიტყვით ღმერთიც ასე იტყვის...  
როგორც კაცი იტყვის, ერთადერთი სიტყვით...

მიყვარხარ.

*დეფი 12 სექტემბერი 2012*

## **მანიფესტი ალფა და ომეგა**

მე ვერასდროს გავუგებ ისეთ სამყაროს სადაც:

სიცოცხლე სიკვდილია.  
სიკვდილი სიყვარულია.  
სიყვარული ტყუილია.  
ტყუილი სიმართლეა.  
სიმართლე სირცხვილია.  
სირცხვილი თავისუფლებაა.

თავისუფლება უზრდელობაა.  
უზრდელობა ხასიათია.  
ხასიათი პრობლემაა.  
პრობლემა ყოფაა.  
ყოფა მრწამსია.  
მრწამსი დემაგოგიაა.  
დემაგოგია გამოცდილებაა.  
გამოცდილება ცოდვაა.  
ცოდვა სიბრძნეა.  
სიბრძნე ეშმაკია.  
ეშმაკი ანგელოზია.  
ანგელოზი მითია.  
მითი ისტორიაა.  
ისტორია წარსულია.  
წარსული ყოფნაა.  
ყოფნა ილუზიაა.  
ილუზია ღმერთია  
და ღმერთი არ არსებობს.

*დეფი 17 სექტემბერი 2012*

## **Das Manifest Alpha und Omega**

Ich werde nie die Welt verstehen, wo:

Das Leben ist der Tod.

Der Tod ist die Liebe.

Die Liebe ist die Luege.

Die Luege ist die Wahrheit.

Die Wahrheit ist die Schande.

Die Schande ist die Freiheit.

Die Freiheit ist die Frechheit.

Die Frechheit ist der Charakter.

Der Charakter ist das Problem.

Das Problem ist die Lebensweise.

Die Lebensweise ist die Ueberzeugung.

Die Ueberzeugung ist die Demagogie.

Die Demagogie ist die Erfahrung.

Die Erfahrung ist die Suende.

Die Suende ist die Weisheit.

Die Weisheit ist der Teufel.

Der Teufel ist der Engel.

Der Engel ist der Mythos.

Der Mythos ist die Geschichte.

Die Geschichte ist die Vergangenheit.

Die Vergangenheit ist das Dasein.

Das Dasein ist die Taeschung.

Die Taeschung ist der Gott  
Und Der Gott nicht existiert.

*David Dephy Sep 17 2012*

## **The Manifets Alpha and Omega**

I will never understand the world where:

The Life is the Death.  
The Death is the Love.  
The Love is the Lie.  
The Lie is the Thruth.  
The Thruth is the Shame.  
The Shame is the Freedom.  
The Freedom is the Rudeness.  
The Rudeness is the Disposition.  
The Disposition is the Problem.  
The Problem is the Existence.  
The Existence is the Belief.  
The Belief is the Demagogy.  
The Demagogy is the Experience.  
The Experience is the Sin.  
The Sin is the Wisdom.  
The Wisdom is the Devil.

The Devil is the Angel.  
The Angel is the Mith.  
The Mith is the History.  
The History is the Past.  
The Past is the Being.  
The Being is the Illusion.  
The Illusion is the God  
And the God does not exist.

*David Dephy Sep 17 2012*

\*

ყველაფერს მიიღებ  
თუ კი რამე გსურს.  
თუ რამეს ინატრებ  
ან ჩაიფიქრებ.  
ყოველთვის ცხრას  
და ყოველთვის ნულს,  
რიცხვები უდრიან.  
აჰგვანან სხივებს...

სამყაროს სხვენის  
სიბნელებიდან,  
ადიან,  
გადიან,

ჩადიან,  
დგანან.  
მეც მის კიდევებთან რამ მიმარბენინა,  
მესმის ვამბობდეს ან ჰოს და ან არას...

და ზეახალნიც  
თმებს გაიშლიდნენ,  
არავის არსად  
ჯერ არ უნახავს,  
მსგავსი ნათება,  
მსგავსი სიმშვიდე,  
როცა სიჩუმეც  
გაგზდის უნახავს,

გაგზდის მთელ სხეულს  
და სულს გიოქროვებს,  
სულს გიოქროვებს  
ისეთი შუქით,  
ჯერ არ გინახავს ღმერთის სიახლოვე,  
ის კი ყოველნამს გიმხელს და გჩუქნის,

თავს.

ვხედავ ნათებას და არ მთავრდება  
და არ მთავრდება სიკეთე მისი.

*დეფი 18 ოქტომბერი 2012*

## The Twelve Angeles

The Lilac Angel bears the sign of my Perfectness

And the Angel said to me:

„You know Deph, the Justice without Love is Cruelty.“

The Indigo Angel bears the sign of my Freedom

And the Angel said to me:

„The Intelligence without Love is Craft.“

The Blue Angel bears the sign of my Dreams

And the Angel said to me:

„The Authority without Love is Violence.“

The Green Angel bears the sign of my Calmness

And the Angel said to me:

„The Dignity without Love is Arrogance.“

The Yellow Angel bears the sign of my Faith

And the Angel said to me:

„The wealth without Love is Self-Interest.“

The Orange Angel bears the sign of my Childhood

And the Angel said to me:

„The Upbringing without Love is Hypocrisy.“



The Red Angel bears the sign of my Life  
And the Angel said to me:  
„The Belief without Love is Illusion.“

The White Angel bears the sign of my Speech  
And the Angel said to me:  
„The Truth without Love is Faultfinding.“

The Gray Angel bears the sign of my Death  
And the Angel said to me:  
„The Praising without Love is Mendacity.“

The Black Angel bears the sign of my Mystery  
And the Angel said to me:  
„Without Love you could not have been born David.“

The Colorless Angel bears the sign of my Spirit  
And this Transparent Angel said to me:  
„Love is the only thing to transform you  
And to make you feel your Transfiguration today

You know it better than we do  
And here you are  
The Time has become Endless  
And here We are – Twelve, all around you.“

*David Dephy May 16 2012*

## მინანქარს

ჩემივე შინაარსი მტკივა.

გესმის?

სამყაროს შინაარსი ჩემშია.

ღიას.

ჩემში ივანებს კაციც და ღმერთიც.

ჩემ ყოველ სუნთქვას სიკვდილთან მიაქვს

სიცოცხლე ჩემი და შინაარსი.

ტკივილი რადგან სევდაა.

გესმის?

ხმელეთი შენი ზღვებით ავავსე,

სიცოცხლე ჩემი გადაღმა ქვეყნის

ივანებს თითქოს ტკივილთან ერთად.

მე არ აღვინერ ის როგორია,

საგნებს სახელნი სხვაგვარი ერქვათ,

მტკიოდნენ ღამეც, დილაც ადრიან

სიზმარნი ჩემნი, შთაგონებანი,

სანამ ცოცხლობდნენ ჩემში და შენში,

ზოგჯერ თავისით მომგონდებიან

სურნელეებანი...

ჭკუიდან შემშლის,

სიკვდილის არსი. ჰო, შინაარსი.  
ბეჭედს ვუყურებ...  
ბეჭდის მინანქარს...  
ღვინო ავიღე, პურს გადავასხი.  
მიყვარხარ.  
გესმის?  
მე შენ მიყვარხარ.

დეფი 19 ოქტომბერი 2012

\*

როცა თენდება, იმწამს ღამდება,  
როცა დადგება დღე როგორც ღამე.

საოცარია.

რადაცას იგრძნობ და უცებ ხვდები,  
თურმე შენივე თავს ესიზმრები.

საოცარია და მშვენიერი.

ტკივილი როგორც სიცოცხლის სიმბოლო,  
გარდაისახება ბედნიერებად.

დიდებულია და სამუდამო.

ჯადოქრობაა თითქოს — პატიება  
და სწორედ ეგაა გზა შინისაკენ.

შენ უკვდავი ხარ არ დაივიწყო.

გზა შინისაკენ კი... სწორედ ეგაა  
გზა შენივე საკუთარი თავისკენ.

მიდი...

გზა შენივე საკუთარი თავისკენ კი...  
სწორედ ეგაა გზა ღმერთისკენ.

მიდი...

შენ თავს იპოვნი... იპოვნი ყველაფერს  
და იტყვი: ჰეი, გამარჯობა, მე შენ მიყვარხარ.

ჰო, ასე იტყვი: ჰეი, გამარჯობა,  
მე შენ მიყვარხარ.

იქით, იქით მეგობარო,  
შენი თავისკენ.  
ჰეი, გამარჯობა,  
მე შენ მიყვარხარ.

დეფი 23 ოქტომბერი 2012

## The Way Home

As soon as it clears up it becomes dark.  
When, like the night, the day sets in.

Impressive.

You'll feel something and guess right away.  
That you are being dreamt by yourself.

Impressive and Wonderful.

The pain, as a symbol of life,  
Will transform into happiness.

Majestic. Everlasting.

As if magic were forgiveness  
And that is exactly the way home.

You are immortal, do not forget.

And the way home is exactly the way  
To you yourself.

Go ahead...

And the way to you yourself  
Is exactly the way to God.

There...

You'll find yourself... You'll find everything there  
And you will say that – „Hello, I love you.“

Yes, you will say that – „Hello, I love you.“

There, there to you yourself, my friend.  
Hello, I love you.

*David Dephy Oct 23 2012*

\*

იცვლება შენი განწყობა, როგორც სიზმარი,  
ანდა ამინდი... აქ სადღაც ცა იყო, მახსოვდა.  
დავდექი, თითქოს დავფიქრდი...

თითქოს ამინდის სიმბოლოც მანიშნებს ვინ ვარ,  
რატომ ვარ... მე შენი კოცნა ვითხოვე. გავთბი.  
სიცვიემ დამტოვა...

გაქრა ის. გარდაისახა. განქარწყლდა და განიდევნა.

ზამთარის მზე დგას ღვთის სახლთან. ჩრდილებიც  
გაქრნენ სხივებთან...

იცვლება ჩემი განწყობაც. ღრუბელს ღრუბელი,  
სდევს სართულებად... ამინდის კრთომა სახსოვრად  
მრჩება და მეცნაურება.

*დეფი 30 ოქტომბერი 2012*

\*

მე ყოველდღე მახლოვებს  
შენთან ჩემი წინათგრძნობა.  
მე ყოველდღე მახლოვებს,  
ჰო, ყოველდღე,  
ყოველწამს.

შენთან ჩემი წინათგრძნობა  
ანგელოზებს ღვთის ახლობლებს  
სუნთქვა სუნთქვით აახლოვებს  
აღარ მიკვირს,  
აღარც მწამს,

ყოფნა, განშორებით სადმე,  
ყველაფერი წარმავალი,  
თითქოს და ზედმეტია,

შენთან, შენთან სიახლოვედ  
აქ, ამ წამებს სულით ვგავდეთ,  
დიდხანს ვრჩებით წავალთ მალე,  
ღმერთი გასცემს ღმერთს მიაქვს.

*დეფი 30 ოქტომბერი 2012*

\*

არსებობა სხვისთვის  
შენით,  
არსებობა სხვისთვის  
აქ,  
გშვენის, გშვენის,  
ღმერთი გშვენის,  
დედამინას გზად მიაქვს,

ჩემი, ჩემი  
სიხარული,  
ჩემი ყველა სიზმარიც,  
გშვენის, გშვენის,  
გაგიმხილე  
საიდუმლო... მივართვი

უკვდავებას სამუდამო  
არსებობა სხვისთვის  
აქ...



და მიყვარდი  
და მიყვარხარ,  
მთვარეებსაც გზად მიაქვთ,

სიჩუმენი სამყაროსი, მდუმარებაც  
სიტყვათა... მე არასდროს არ ვჩქარობდი  
მეთქვა შენთვის — მიყვარხარ,

მაგრამ ახლა მეჩქარება, ახლა,  
ახლა, აქ და ამნამს... ის შუქები  
იმ მხარეთა, სხივით სხივზეც გადაწნა

სააქაოდ ჩემმა ყოფნამ, ცაზე  
ელვაც შეირხა... ზეცა ცას არ განეყოფა,  
არც სიჩუმეს შენი ხმა.

*დეფი 31 ოქტომბერი 2012*

\*

ხალხი...  
მე არ ვარ ხალხში.  
თუ ვარ... შენ გეძებ მათ შორის.

დავხრი...  
თავს და თმებს როცა გაშლი,  
იმნამსვე ვიაზრებ თუ როგორ დავშორდი,

გუშინდელ სიზმარს...  
დღევანდელ სიცხადეს...  
სულს ამომინვავს ის ერთი წამი.  
ჩრდილი ჩემივე სხვა ჩრდილებს მიაართვეს,  
შუქებმა ღამით. ღამეც აქ არის,

ასე უნაზესი ჩვენ შორის ნუგეში...  
ყველასგან შორს და ახლოს ყველასთან...  
შუქია ჩემში,  
მე ის მანუგეშებს,  
სიზმარიდანაც ის შუქი მეძახდა...

იქ, იმ ბავშვობიდან, აქეთ, სიკვდილამდე,  
იქით იმ შუქებით,  
თითქოს მივფრინავდე...

ოდნავ მელიმება, როცა მელვიძება,  
ჩემ წინ ვერცხლით გაკრთა  
ახლა შებინდებაც.

*დეფი 1 ნოემბერი 2012*

\*

სამშვიდობოს მივადგე და გავუძლო  
ჩემ გზას მართლაც, მსურს და ხმისჩახლეჩვამდე  
ვყვირი – ცოტაც, რალა დარჩა... იქ, შუქი წევს

სახლის კართან, ისმის ხმებიც, ოთახიდან...  
ღმერთო ნუთუ გამიმართლა, აქამდე რომ  
ცოცხალი ვარ.

*დეფი 2 ნოემბერი 2012*

\*

იქ, ზემოთ, ჩვენ ზემოთ,  
სულ მაღლა, ცის ზემოთ,  
ქალაქებია.  
იქ, სახლებია, იქ სიზმრებია  
და სიხარული.

გიმლერონ ნატვრებმა,  
ძილის წინ გიმლერონ,  
დღენი ღამეებს მიიმლერიან,  
მთელ შენ სიცოცხლეს  
გაგიმხატვრულებს,  
სიზმარი შენი და სიხარული.

შენ გელვიძება.  
ნელსურნელებებს  
ირგვლივ შეიგრძნობ და გაიღიმებ.  
ვარსკვლავმა გატაროს, შენ სულს ენება  
ნათება მისი, ზემოთ, იქითკენ.

*დეფი 22 ნოემბერი 2012*

\*

ვინ აჩენს მშვიდობას.  
ან როგორია. ღმერთმა ის მოგცეს.  
სუნთქვის გამჩენი. სუნთქვანი მისი  
შენთან მოდიან. ყოველ სიტყვაში  
შენ მათ ამჩნევდი.

გამოდი წრედან. წრეს განერიდე.  
გათავისუფლდი, მშვიდობა შენდა.  
ჩუმად ხარ ღამით. ჩუმად მთელი  
ღღე. თუმცა რაღაცა გინდოდა გეთქვა.

სიკვდილისათვის შენ იბადები.  
სიცოცხლისათვის მოკვდები,  
მხოლოდ. შენ ზოგჯერ გესმის  
ღმერთის ზრახვების, ზოგჯერ  
ზეიმობ და ზოგჯერ გლოვობ

და ზოგჯერ გაგონებს სამყაროც  
ნახატს. შენშია მთლიანი სამყაროს  
სახე. თუ დაიჯერებ შენ დაინახავ.  
თუ დაინახე სხვაც დაიჯერებს.

*დეფი 23 ნოემბერი 2012*

\*

ზღვის სურნელება...  
წვეთებსაც ზღვისა აქვთ.  
წვეთნი ზღვებს ავსებენ ისევ და ისევ.  
მთელი სამყაროც სწორედ ისაა  
და ისეთია შენ რასაც ირჩევ.

*დეფი 28 ნოემბერი 2012*

\*

შეხედე მეგობარო  
ჩემთან ერთად შეხედე ამ  
უცნაურ სხივს.

ის, ისეთივე სუფთაა და გამჭვირვალე,  
როგორც ყველაფერი, თუ კი რამეზე

შენთან მინდოდა მელაპარაკა და  
არასდროს მითქვამს.

თუ კი რამ განმიცდია  
და არასდროს გამიმხელია  
შენთვის.

მაშინ ხდები ალბათ მოგზაური  
როცა ხვდები —  
თვითონ ხარ სივრცე  
და დროც თვითონ ხარ.

მაშინ ხდები პოეტი  
როცა ხვდები —  
თვითონ ხარ პოეზია  
და მდუმარებაც თვითონ ხარ.

მაშინ ხდები შეყვარებული  
როცა ხვდები —  
თვითონ ხარ სიყვარული  
და სიცარიელეც თვითონ ხარ.

მაშინ ხდები მეომარი  
როცა ხვდები —  
თვითონ ხარ ომი  
და მშვიდობაც თვითონ ხარ.

მაშინ ხდები ადამიანი  
როცა ხვდები —  
თვითონ ხარ სიცოცხლე  
და ღმერთიც თვითონ ხარ.

მაშინ გასცემ როცა ხვდები —  
მთელი სამყარო შენია  
და შენთვისაა.

დრო მალე გადის. ეცადე მიხვდე  
და შეიცვალოს სამყაროც იქნებ.

ახლა აქ რატომ ხარ... და იქ რატომ მიდიხარ.  
სად არის სამოთხე... და რა მოჩანს იქიდან.

*დეფი 29 ნოემბერი 2012*

## 90

„ვინაიდან მისურვა, გადავარჩენ მას.  
დავიცავ მას, ვინაიდან იცნო ჩემი სახელი.  
მომიხმობს მე და ვუპასუხებ.  
მასთან ვარ გაჭირვებაში.  
გადავარჩენ და ვასახელებ.  
დღეთა ხანგრძლივობით გავაძღობ  
და ვაჩვენებ ჩემს ხსნას.“

გისურვე იცი. გადამარჩინე.  
ვიცანი შენი სახელი. მოგიხმე  
და მიპასუხე. მინდა ვიცოდე  
ჩემთან ხარ გაჭირვებაში.  
გადამარჩინე და მასახელე.  
დღეგრძელობით გამაძლე  
და ხსნა შენი მაჩვენე.  
ზეცა ჩამოიმსხვრა.  
ვაგროვებ ნარჩენებს,

მინაც ამომენვა ფეხებქვეშ იცი.  
შენ ჩემში იწვი მთელი არსებით.  
მთელი სამყაროც შენ თვალწინ იწვის.  
მთელი არსებით იწვიან სიტყვებიც.

ვითიც და რითიც შენ მე შემქმენი.  
შენ მე გამაჩინე. სისხლებით.  
ვნითლდები. თავს ვიგრძნობ როგორც  
ერთი ან ზედმეტი და ისევ იწვიან  
სიტყვები. სიტყვები.

სინითლე სისხლის ზეცამდეც მივიდა.  
როცა ავხედავ თუ ვხედავ რამეს.  
დასაწყისს ვიგრძნობ სიცოცხლის  
დილიდან. ჩვენს აღსასრულთან  
გადაიღამებს, ნათება მისი.  
ფსალმუნით ისმის.



ოთხმოცდამეათე.  
აქყოფნას დღევანდელს,  
ნუგეშად მიართვეს  
ფსალმუნი შენი, ჰო  
ჩემო ღმერთო. ჩემო  
სიცოცხლე.

*ღეფი 8 დეკემბერი 2012*

## **12.12.12. — 12:12:12**

დგას, ორიათას თორმეტი წელი.  
თორმეტი დეკემბრის დილა ვიგრძენი.  
თორმეტი საათი. თორმეტი წუთი.  
მე, მეთორმეტე წამით მომწყურდი.  
შეჩერდა ვხედავ დრო სწორედ ახლა.  
ვხედავ, ჩემ თვალწინ სიზმარიც ახდა,  
როცა გითხარი პირველად მიყვარხარ  
და საიდუმლოდ ყველა სიტყვასთან,  
სუნთქვები ჩავდე მარგალიტებად.  
ირმის ნახტომიც შენ წინ იხსნება.  
დრო ხომ ვარსკვლავებს რძესავით წველის.  
დგას, ორიათას თორმეტი წელი.

*ღეფი 12 დეკემბერი 2012 12 საათი 12 წუთი*

\*

ჩემი სხეული შენია.  
გონება ჩემი. სიზმრები. სუნთქვა.  
მოლოდინი და იმედები.  
შენია. შენ გეკუთვნის.  
გაჩუქე.  
მე თავი ჩემი გაჩუქე.

ვინც კი ვყოფილვარ  
და ვინც ახლა ვარ  
და ვინც ვიქნები  
საჩუქრებს  
მე გიფენ ჩაძინებისას.

გამოღვიძება შენი მე მხიბლავს.  
სუნთქვებზე სიზმართა სურნელი  
გშვენის. სულით შემიხორციდი  
ერთადერთ სიტყვად. შენია  
მართლაც სხეული ჩემი.

*დეფი 14 დეკემბერი 2012*

\*

უკვე დავინახე  
ფერი გამარჯვების.  
ივანებს შენთან  
მაცნე ღვთისაგან.

მე თუ გავიმარჯვებ  
შენ არ დამარცხდები.  
რადგან მე შენ ვარ  
და შენთვისა ვარ.

*დეფი 16 დეკემბერი 2012*

\*

ჩემი ღიმილი ძალას გაჩვენებს  
ვიდრე სიხარულს.  
დღე უშენობის  
ზღვის უფსკრულებზე  
უფრო ბნელია.

სინათლიდან ვარ ძმაო ჩემო,  
მე სიბნელე მძულს  
და როცა გეტრფი,  
ჩემთან ერთად  
ქვებიც მღერიან.

*დეფი 19 დეკემბერი 2012*

\*

სიტყვა სიჩუმეს გარშემო უვლის.  
ერთი სიმართლე, ხმა შეთანხმების.  
დრო წარსულისკენ წამებს აპარებს.  
დროდან გავიდა მთელი სამყარო.

რალა აზრი აქვს მაშინ შენ ღუმილს,  
თუ შენ სიმართლეს არ ეთანხმები.  
რალა აზრი აქვს მაშინ ლაპარაკს,  
თუ შენ სიმართლეს არ ამბობ.

*დეფი 21 დეკემბერი 2012*

\*

სიკვდილი, იგივე სიცოცხლეა, სიცოცხლის გარეშე.  
სიბოროტე, იგივე სიკეთეა, სიკეთის გარეშე.  
სიბნელე, იგივე სინათლეა, სინათლის გარეშე.  
სიმახინჯე, იგივე მშვენიერებაა, მშვენიერების გარეშე.  
სიცივე, იგივე სითბოა, სითბოს გარეშე.  
წარსული, იგივე აწმყოა, აწმყოს გარეშე.

თითქოს ზეციდან მიწაზე დავეშვი,  
როცა დაგინახე, გიცანი როცა  
და თითქოს ცა დარჩა ძმაკაცის გარეშე,  
როცა კი ცასაც ვარსკვლავი მონყდა.

*დეფი 22 დეკემბერი 2012*

\*

უმანკოება ბავშვობას ნაჰყვა.  
ისევ შევხვდებით თუ დავბერდებით.  
დრო ჯერ კიდევ გვაქვს,  
სიკვდილის კართან,  
სინათლე მნათობს  
სიბნელეებით.

მე ახლა ვიცი, თვალს როცა ავახელ,  
შენ მაინც იქნები, იქნები  
ჩემთან. სიცხადეებს კი,  
სიზმართა სამარხებს,  
ყოველთვის მომწარო  
შეგრძნება სდევდა.

*დეფი 27 დეკემბერი 2012*

\*

ჩემ წინ სამყარო იშლება, მთიების ცეცხლს  
და მნათობებს, ვხედავ სიტყვებად, სხივებად  
და მე ეს საოცრად არ მყოფნის.

ჩემ ხელისგულზე წვეთავენ, ცანი, წვიმებით,  
სიზმრებით, გუშინდელი გავს დღევანდელს  
და მე ეს საოცრად არ მყოფნის.

გიყვარვარ, ვიცი, გიყვარვარ. ყოველთვის  
გიყვარდი, ყოველთვის... და მე ნაწვიმარ სიზმართან,  
ყოფნა არ ყოფნაც არ მყოფნის.

სამყაროს დრო დაუმთავრდა, გწვავს  
და შუაზე გხევს, საკუთარ თავთან ეძახის,  
ყოველ ჩვენგანთან, ღმერთს.

*დეფი 28 დეკემბერი 2012*

\*

შენთან გაღვიძება დაბადებაა.  
შენთან დაძინება მოგზაურობა.  
ერთმანეთს მივყვებით ერთმანეთისკენ.  
ერთმანეთიდან ვბრუნდებით უკან.

*დეფი 31 დეკემბერი 2012*

\*

ზოგჯერ წამი დგება, როგორც  
გაბრწყინება, როცა კი შენში,  
მე ჩემ თავს ვხედავ. შუქით  
სავსე ვხდები, იმწამს მავნიწყდება  
თუ კი რამეა სიამე ქვეყნად.

ზოგჯერ სურნელი სდის  
ზეცას დედამინის, თითქოს  
ფრთოსნებიც ჩემ გვერდით სხედან.  
შენ ვის შეგადარებ, შენზე ვინ რა იცის,  
თუ კი ვინმეა ასეთი ქვეყნად.

ზოგჯერ ისე ქრება მთელი  
საუკუნეც, თითქოს არც ყოფილა,  
არც რამე ერქვა, როცა სიცოცხლეს  
მე ღმერთს დავუბრუნებ,  
მაშინ სახელსაც დავტოვებ ქვეყნად.

*დეფი 2 იანვარი 2013*

\*

ჰო, მე მიყვარხარ შენ, ანგელოზებზე მეტად.  
ბოდიში ზეცავ, მაგრამ ასეა.

ჰო, მე მიყვარხარ შენ ჩემი თავივით.  
ბოდიში სამშობლოვ, მაგრამ ასეა.

ჰო, მე მიყვარხარ შენ და მე ამას ვერ ვხსნი,  
როგორ შეგიცანი ისეთი ვინც ხარ.

გამოლვიძებისკენ მე თავი მიმყავს.  
სიცხადეც ნუთუ ემგვანა სიზმარს.

მე თვალებს ვახელ და შენ გხედავ ისევ.  
გონება ჩემი შენით შეივსო,  
როგორც სიჩუმე მუსიკით ივსებს,  
სხეულს თავისას და მე ახლა ის დრო

მეკუთვნის მართლაც, თუ კი მას ვხედავდი,  
ანმყოფ, სამომავლოდ, თუ კი ის დადგა.  
თუ სიყვარულიც ჩემი შენდამი,  
ისევ მაბრუნებს საკუთარ თავთან.

*დეფი 6 იანვარი 2013*

\*

ჩემი მომავლის შესახებ თუ რამე იცი,  
ან ახლავე თქვი, ანდაც საიდუმლო  
საუკუნოდ დაიტოვე შენში  
და ხმა არ ამოიღო არასდროს არსად.  
კვამლი კომეტის ზეცასაც გასცდა.  
თითქოს მივირბინე ბავშვობის სახლთან,  
სადაც ხელუხლებლად ბავშვობაც დამხვდა  
და წინათგრძნობა ჩემი მომავლის  
და ვარსკვლავები, საფლავნი ძმათა,  
რომელთა რიცხვსაც ალბათ დრო დათვლის,  
როცა გაივლის ის სამუდამოდ და დამთავრდება  
მოგზაურობა და დაეშვება სამყაროს ფარდა.



ჰო მეგობარო, მემასხსოვრები.  
ყოველთვის ყველგან მემასხსოვრები.  
ფარდის ორივე მხარეს დგებიან,  
ცის მომღერლები, ღმერთის მგოსნები.

სევდა კი რჩება, როგორც ყოველთვის  
წამლები გულის, ის მწარე სევდა.  
არა არ მითხრა მე რა მომელის,  
დაე ვარსკვლავის სახელი მერქვას.

*დეფი 8 იანვარი 2013*

\*

სამამდე დავითვალოთ. თვალები დავხუჭოთ.  
ვნახოთ რა მოხდება. რა იცი რა ხდება.

იქნებ მოფრინდნენ ფერადი ხოჭოები,  
ჯერ თუ არ ყოფილან არასდროს ამქვეყნად.

ოთხამდეც დავითვალოთ. წავიდეთ აქედან.  
აქ სიცარიელეს ვერავინ ვავსებდით.

ვნახოთ რა მოხდება. რა იცი რა ხდება.  
იქნებ შეუყვარდეს ყველას ერთმანეთი.

ასეთი წამი მთელ დროს მიმართავს  
სასწაულისკენ, სადამდეც შეძლებს.

მე შენ გამსგავსებ მაცნეს ღვთისაგან.  
თოვლიც მიაგავს სამოთხის მეკვლეს.

*დეფი 9 იანვარი 2013*

\*

სიყვარულისთვის,  
სიტყვიდან სიტყვაში, ბგერიდან ბგერაში,  
ფერიდან ფერში, სუნთქვიდან სუნთქვაში,  
სხეულიდან სხეულში, დროიდან დროში,  
ადამიანიდან ადამიანში, ერიდან ერში,  
ქვეყნიდან ქვეყანაში, მცენარიდან მცენარეში,  
ფრინველებში და ცხოველებში, თევზებში  
და წყალმცენარეებში და წყლის ბინადრებში,  
ქვებში და ნიჟარებში, ხეებში, მწერებში,  
მინერალებში და ძვირფას თვლებში,  
ვარსკვლავებში და ნისლეულებში,  
გალაქტიკებში და სინათლეებში  
მოგზაურობს ჩემი სული და მე ყოველთვის  
ვიბადები და როცა გიყვარებ მე ვთავისუფლდები,

სიცოცხლისაგან და სიკვდილისაგან  
და ვინმინდები  
და ვარ სიყვარული  
ღმერთი.

*დეფი 10 იანვარი 2013*

\*

სამყაროს შექმნიდან ღღევანდელ ღღემდე  
რამდენს უცხოვრია. რამდენს ყვარებია.  
რამდენს სჯეროდა – ის რჩეულია.  
ღრუბლები მათ თავზე თავისთვის ფრენდნენ  
კიდევ ვინ იცის რამდენს ჩაუვლიან  
ან ვინ მიაღსგავსებს თავის თავს მათთან.

ვინც გადაიფრენს სამყაროს თავზე  
და იქ სადღაიც ასე აქრება.  
მანამდე მღერის და კონცერტს მართავს  
და სუნთქვებს თავისას ფანტავს ჰანგებად.

*დეფი 11 იანვარი 2013*

\*

ღმერთი მოქმედებს ჩვენი ტვინებით.  
ჩვენი ხელებით სამყაროს გაშლის.

ღმერთს ვესიზმრებით. ჩვენ ვესიზმრებით,  
როცა იღვიძებს, ჩვენ ვქრებით მასში.

ამბავი მთავრდება და იწყება ისევ.  
გავდივართ სიკვდილით ისევ სიცოცხლეში.

ისევ შევიყვარებთ ერთმანეთს, გიდევს  
ჩემ ხლზე ხელი, სიზმარს ვიშორებდი

გამოღვიძებისას, შენ გვერდით მყავდი,  
რატომღაც მეგონა კვლავ თოვას იწყებს.

ჩემთან ხარ ახლაც თოვლისა მსგავსი,  
ამბავი მთავრდება და იწყება ისევ.

*დეფი 16 იანვარი 2013*

\*

სიკვდილის წამისას ყველაფერს გავიგებ, როგორც  
გავიგე დაბადებისას. თუ მემახსოვრება, თუ სახლის  
აივნებს, ავყურებ, ვნატრობ, იქ გამარბენინა,

მათ შორის გაჭიმულ სარეცხის თოკებზე და როგორც კომეტებს ზეცანი ისვრიან, ომიც და მშვიდობაც მსურს მალე მომბეზრდეს, თითქოს თავს ველარ ვცნობ სუფთას ან სისხლიანს.

უთხარი ყველას მე აქ ვიყავი... შუქები წვიმდა სადღაიც ზემოდან... და ღმერთს ვხედავდი ყველა ჩემ სიტყვაში, მაგრამ საერთოდ მისი არ მესმოდა,

სიცოცხლის ჟინით ვიკლავდი წყურვილს და თითქოს მოგავდა სიცოცხლეც იგავს... და არ მაკვირვებდა რაც ყველას უკვირს, თუ ვინმე მიყვარდა დღესაც ის მიყვარს.

*დეფი 17 იანვარი 2013*

## **სიზმართა მუსიკა**

მესიზმრა შენთვის შუქი მომქონდა.  
ბნელოდა... მე კი ხელისგულებზე  
შუქები მედო... ქვეყნის ბოლოდან  
მუსიკა მეცნო... ცას ავყურებდეთ

ისე ვისმენდეთ, ის ისე კრთოდა...  
სიბნელებიდან მან თავი იხსნა...

და ჩვენც გამოვედით სიზმრების კართან...  
სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა...

გამოღვიძებისას უცებ გამოგხედე...  
სანოლზე იჯექი... რაღაც გიხაროდა...  
დილაც გაიშალა მგონი სამოთხემდე...  
და გზად წამიყვანა თავის სიყვარულთან...

შენი სუნთქვის გავლით, შენი სიჩუმის,  
სიზმარი მტოვებს სადღაც თავისთან...  
მუსიკა მისი მე იქ ვიჩუქე... ის კი ამ დილას  
აქვე გაისმა...

*დეფი 21 იანვარი 2013*

\*

საქართველო. ქართველთა მხარე.  
რით გამახარებ. რით გამახარებ.  
საქართველო. მხარე ქართველთა.  
მინა დაბერდა. ზეცაც დაბერდა.  
ქართველთა მხარე. საქართველო.  
მინდა გაჩვენო. უნდა გაჩვენო,  
მე თავი შენი ჩემში და სხვებში,  
პირველს ვის მოკლავ აირჩიე,  
ნება შენია.

*დეფი 22 იანვარი 2013*

\*

შიშები შენი სიკეთეები  
მაქსიმალურად გაასაჯაროვე  
შიშები შენი, მოსდე მსოფლიოს  
უთხარი ყველას რისიც გეშინია,  
ყველას ეშინია. აქ ყველა ასეა.

შენ მარტო არ ხარ. შენივე შიშები  
შენთან არიან და ყველა სხვათა  
სახენი გვანან მრავალარხიან  
ტელეანტენებს. რა  
დაგემართა.

გვანან ოთახებს.  
ნაქურდალთ ბევრჯერ. გვანან  
მტვერსა და გაცრეცილ გაზეთებს,  
გინდა გაიგო ვინ ფიქრობს შენზე,  
ვინ სადაა და სად რას აკეთებს.

ცანი დაჰყურებენ ვარსკვლავთა  
სახლებიდან, ქვემოთ მთებსა და მათ  
ქვემოთ დაბლობებს. შიშები შენი  
შენით ნაყრდებიან. მაქსიმალურად  
გაასაჯაროვე.

სტუმრები დაპატიჟე შიშის სუფრაზე.  
შიში იგემე შენიც და სხვისიც. გაიგე

შიში ვის რას უმზადებს... რა იყო მანამდე  
ისედაც იცი... იცი და მაინც, მაინც არ  
იჯერებ.

სახის მიბჯენით შენივე შიშთან  
იმარჯვებ ერთხელ და იმარჯვებ  
ბევრჯერ... და უფრო მეტი და მეტი  
გინდა, შენ წინ ყოველნი სხეულებს  
ფენდნენ.

შეშლილებივით ცეკვავდნენ შენს  
ირგვლივ, სიბნელებში შიშვლები  
ცეკვავდნენ... სიკეთენი კი, შენგან  
წასულნი, დაბრუნდებიან,  
მოვლენ შენამდე.

*დეფი 26 იანვარი 2013*

## **სულ ერთი წამით**

ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი  
თუ ასეთი ამაზრზენი იქნებოდა

შენი ნამდვილი სახე  
საქართველო.



ასე თუ მეყვარებოდი შენი სახის წინ  
მდგომი. ვერ წარმოვიდგენდი...

მე თავს დავალწევ და შენც  
თან წაგიყოლებ... ოჰ, შევიშალე..

ჰო, შევიშალე... რას წარმოვიდგენდი...  
ჩემო... ჩემო...

რატომ ვერ ვსწავლობ ჭკუას...  
მე რომ მჭირდები შენ ეს არ გესმის.

ყველა შენ სიხარულს ტკივილი მოაქვს,  
გულში ქვა გიდევს დანის სალესი.

შენ ხომ საკუთარ თავსაც ვერ იტან,  
არა თუ დავით გურამიშვილს,

ღმერთის მშობელი გიცქერს ზეციდან  
შენ ავადობას სხვა ვინ დაგიშლის,

შენ ხომ ვერ იტან ვერც ერთგულებას,  
არა თუ შოთა რუსთაველს,

დანანევრებულ სხეულთან ერთად  
წინასწარმეტყველის თავიც მიაართვეს

მთელი დიდებით შენ სასაკლავოს,  
ხორცს უჯიჯგნი და სისხლს სვამ სამოთხის,

ო რა ავად ხარ, მსურს დავამთავრო,  
სიგიჟე შენი და არ გამომდის

და ვერ გავიგე რა მაიძულებს  
ვიყო პოეტი და შენზე ვიდგე

და დავყურებდე შენ თაიგულებს  
და განიკურნო, ვოცნებობ იქნებ

და დრო გავიდეს, იმდენი, იმდენი,  
რადაცას მიხვდე სულ ერთი წამით,

მთელი ცხოვრება იმ წამს მივდევი  
დაე იმ წამმა გიშველოს ამინ.

*დეფი 13 აგვისტო 2011*

\*

ზღაპრად ჩაივლიდა ეს ყველაფერი,  
რომ გავყოლოდით ამბავს ბოლომდე.  
ზღაპრად ჩაივლიდა ეს ყველაფერი,  
რომ არ ჩაგვძინებოდა.

მაინც შევძლებდით ბოლომდე მისვლას  
ალბათ როგორმე,  
ან სხვა დასაწყისს ვიხილავდით  
უფრო კარგი ალბათ ბოლოდან.

ჰო, ყველაფერი მეგობარო სინამდვილეა,  
ჩვენ აღარ ვგავართ ჩვენი ბედის  
ალბათ მომგონებს.  
გარდაცვლილებიც საიქიოდან  
ჩვენ დაგვტირიან,  
ჩაძინებულებს მაინც გვევლო  
ამბის ბოლომდე.

ანდაც სიზმრების გზაჯვარედინზე გამოგვეღვიძა,  
ჩვენ ფოთლებივით ჩვენივე სუნთქვებს სადღაც  
მივყვებით...  
როცა მეძახი მე აღარ მესმის ალბათ შენი ხმა,  
როცა გეძახი, სადღაც ქრებიან ჩემი სიტყვებიც.

*დეფი 28 იანვარი 2013*

\*

ნიჭიერება ყოველთვის განსაცდელშია,  
სამშობლოსავით.

ის მტრობას იწვევს.

მშვენიერება ყოველთვის განსაცდელშია,  
სიკეთესავით.

ის ზიზღს იწვევს.

თავისუფლება ყოველთვის განსაცდელშია,  
სიყვარულივით.

ის შიშებს იწვევს

და აღარ გვანან ნატვრები სიზმრებს  
და აღარც ჩვენ ვგავართ ჩვენივე თავს,  
პასუხი კითხვებზე ყოველთვის წინ დევს  
და ერთნაირად გყინავს და გწვავს.

*დეფი 30 იანვარი 2013*

\*

ავყურებდი თოვლებს.

ისინი კი მეუბნებოდნენ:

„უსმინეთ ბავშვებს, რომლებიც

ჯერ კიდევ თქვენში არიან.

უსმინეთ მუსიკას, რომელიც

თქვენში ისმის, სწორედ

ბავშვობიდან...

ის თქვენ სიმშვიდეს მოგიტანთ...  
ის თქვენ სიმშვიდეს მოგიტანთ...“

*დეფი 1 თებერვალი 2013*

\*

ჩრდილებს შუქებისგან  
რა განასხვავებს. შენმა  
გამოხედვამ სადღაც  
ნამილო.

ის ადგილები, გავდნენ  
ვარსკვლავებს.  
თითქოს ეწერათ ნილსებს  
თამიო.

*დ. 9 თებერვალი 2013*

\*

ოცდაერთ ივნისს გავჩნდი.  
დიდი ვარსკვლავის ბუნიობისას.  
ნაკიან ნელინადს. სამშაბათს.  
დილა უთენია.

მანამდე რა ხდებოდა კარგად არ მახსოვს.  
ან სად ვიყავი. ან ვინ ვიყავი. როგორი  
ვიყავი და ვიყავი თუ არა...

მაგრამ დღეს ვიცი, ის დღე რომ არა,  
ის ოცდაერთი ივნისი, ვერ მოვაგნებდი  
მე გზას აქეთკენ. არსობა ჩემი წინ და წინ  
მიდის...

ნუთუ აქა ვარ მართლაც ბოლოჯერ?  
ან მოგზაურობა ახლა იწყება?  
სიკეთედ ვაქცევთ დიდ სიბოროტეს?  
სიკეთეებსაც დავწნით სხივებად?

სინათლეს დავქსოვთ. შევიმოსებით  
დიდი ვარსკვლავის ბუნობისას,  
ნაკიან წელიწადს, დილა უთენია,  
არსობა ჩემი სიზმრებს მოისხამს

და აყვავდება და იყვავილებს...  
ვღებულობ სიცოცხლეს ღმერთისგან  
ქებად...  
ან ასეთია იქნებ სინამდვილე  
და ის იცვლება, როცა მას ვხედავთ.

*დეფი 11 თებერვალი 2013*

\*

ყოველდღიურობა,  
ღმერთისკენ მიმავალი სირცხვილის დერეფნები.  
უნდა გავიაროთ. მივიდეთ ბოლომდე.  
არ უნდა შეგვრცხვეს ჩვენ ერთმანეთის.  
რადგან გეფერები, რადგან მიყვარხარ,  
რადგან სულს გიფენ ყოველ სიტყვასთან.

*დეფი 13 თებერვალი 2013*

\*

რა მაიძულებს შენკენ ვილტვოდე,  
როცა შენთან ყოფნა სასიკვდილოა  
ჩემთვის.

რა მაიძულებს მაინც მიყვარდე,  
როცა სრული სიმართლე ვიცი  
შენ შესახებ.

ეს ან სიგიჟეა, ან სიმამაცე,  
ან კიდევ რაღაც, მათ მიღმა.

რა მაიძულებს ნეტავ ვიცოდე,  
მიჰყვა სიჩუმეს ყოველი სიტყვა.

ქვეყანავ ჩემო, სიცოცხლე.

*დეფი 13 თებერვალი 2013*

\*

თუ გეძახი, მაშინ მოდი.  
თუ მოხვედი, მაშინ შემოდი.  
თუ შემოხვედი, მაშინ მომესალმე.  
თუ მომესალმე, მაშინ გადამეხვие.  
თუ გადამეხვие, მაშინ მიმიღე.  
ისეთი, როგორიც ვარ.  
ისეთი, როგორიც შეიძლება ვყოფილიყავი.  
ისეთი, როგორიც შენ გინდა ვიყო.  
ისეთი, როგორიც მე არასდროს ვიქნები.  
ყოველი მოვლენის თითქოს წინსწრებით,  
ცხოვრების ბოლომდე, თითქოს ბავშვობიდან,  
ღრმად ჩავყვინთავდით, სულ მალლა ვიფრენდით,  
იყავი ჩემთან, იყავი ვინც ხარ.

განა ისეთი, როგორიც გგონია  
შენ თავი შენი ჩემში ნალვინარი,  
განა ისეთი როგორსაც გხედავ,  
თითქოს სიზმრებიდან ხილვა  
გავიმრავლე

და წარმოგიდგინე, ეგეთი არა,  
წამდვილი იყავი, სრული სინამდვილე,  
შენში სიჩუმეა მუსიკიანად,  
მე როცა გისმენ ჩემ თავს ვინამდვილებ



და მთელ ჩემ დროებას, მთელ ჩემ მომავალს,  
საგნების არსს, მათ შინაარსს ვხვდები,  
ახლაც და მერეც, როცა კი დრო გავა  
ყრუნიც იცნობენ ერთმანეთს ხმებით.

*დეფი 17 თებერვალი 2013*

\*

მანძილი შენამდე იმხელაა,  
რამდენიც ჩემიდან ჩემამდე.  
მე შენ ვარ... საქმეც ეგაა.  
რატომ მოვდივარ ამდენი ხანი  
ყოველი ჩემი შემხვედრის გავლით,  
დაგვიანებით და მაინც დროულად,  
სუნთქვებით ვზომავ სივრცეს და მანძილს,  
ჩემში გკარგავ და ჩემში გპოულობ.

*დეფი 18 თებერვალი 2013*

\*

სიზმარი გაქრა. მიწისკენ  
ვეშვები. იყო და არ იყო,  
მართლა ან თითქოს. მე მაინც  
ვცდილობ ყველა გამვლელში  
თავი საკუთარი თვითონვე ვიცნო.

*დეფი 20 თებერვალი 2013.*

\*

სიცოცხლე, როგორც დროის  
სამსხვერპლო, თავს აინათებს  
აგე იქ, მაღლა.  
ამოვისუნთქე, აღარ ვარსებობ.  
მადლობა ღმერთო, მე ისევ აქ ვარ.

*დეფი 21 თებერვალი 2013.*

\*

ფარდა ახსენით ყველა საიდუმლოს.  
ვინც ფარდის უკან ხართ გამოდით,  
გვეჩვენეთ. დრო აღარ გვრჩება,  
ღმერთს ვთხოვთ დაგვიბრუნოს  
ცოდვები ჩვენი, სულის ნარჩენებს

ჩვენ ერთმანეთში ვეძებთ და ვეძებთ,  
მხოლოდ და მხოლოდ ლეშს თუ  
მივაგნებთ... და მერე ისევ  
მოვიხმობთ ღმერთებს, მაგრამ  
ვერ ვუძლებთ ცათა სიმაღლეს.

*დეფი 27 თებერვალი 2013*

\*

ახალი დღე. ჩვენი თავისუფლების  
ახალი დედლაინი. მთელი ცხოვრებაც  
ასე გაივლის, რადგან ერთმანეთს  
თვალს ვერ ვუსწორებთ და გზა გვახარებს,  
ვრჩებით მარტონი. ჩვენ ერთმანეთიც  
გზაში დავტოვეთ.

*დეფი 28 თებერვალი 2013*

\*

შემთხვევა. ბედი. ღმერთის ფსევდონიმები,  
როცა მას არ სურს რაიმეზე ხელი მოაწეროს.  
მწამს, უცაბედი ერთი შემთხვევის, ღმერთს  
ვარსკვლავები გზად დაუწითია. კიდევ ცოტაც  
და ისევ შევხვდებით. კიდევ ცოტაც და...

გაზაფხულია და პლანეტებიც უსასრულობას,  
ასე შემთხვევით კვლავ გარს უვლიან.

დეფი 28 თებერვალი 2013

## სიჩუმე სიცარიელის

*„და ვერ შევამჩნევთ, ჩვენ უძილონი,  
რომ ვიკოცნავებთ განთიადამდე“*

**ბორის პასტერნაკი**

ბათუ დანელიას ბნრყინვალე თარგმანით შთაგონებული

დღეს სიჩუმეში სიცარიელის,  
ისევ და ისევ ჩვენ სასიცოცხლედ,  
მარადისობას ვინამიერებთ,  
გამოღვიძებისას  
გვინდა ვიცოდეთ,

იქ რას განვიცდიდით,  
იქით, იქ... მიღმა...  
ან თუ მართალია ჩვენი აქ ყოფნა,  
ჭეშმარიტებაც რამდენჯერ ითქვა,  
გაღვიძებისას ნუთუ გვახსოვდა

ჩვენ ერთმანეთი...  
ახლა კი აღარ ვართ,

ყოფნა არ ყოფნის მაინც არ მესმის,  
ახლა სიჩუმის მე ვარ თანახმა,  
სიჩუმის მჯერა, ისაა ღმერთიც...

სიჩუმემ ღირსგვყო ერთად  
მოვჩანდეთ, ცოცხალი ცოცხალს  
წყალს უწყალობებს. დღეს გარიჟრაჟის  
თითქოს მოსვლამდე, ვარსკვლავნი  
გავდნენ სიზმრის მგალობლებს...

და მათი შუენი, შორი შეთრთოლვით  
დასალიერის ბოლო მიჯნებთან, იდგნენ,  
სასწაულს ალბათ ელოდნენ... სადღაც  
უფრო შორს გადაბიჯებას...

მართლა უსასრულოდ წამი  
გაგრძელდა, გონი დავკარგეთ  
გარინდებისგან, მართლა ყოფილა  
ლამე რამხელა... სიჩუმეც იმ წამს  
მართლა გაისმა...

დიდდება ლამე... სულ ასე იქნება...  
ჩვენც დავივიწყებთ სიზმრებს  
ორთავე, ვერც კი შევნიშნავთ  
სულის წინსწრებად, გათენებამდე  
რომ ვიკოცნავებთ.

*დეფი 2 მარტი 2013*

\*

მთაზე ადიოდა მთელი ჩემი გზა, თავსაც შევატყვე  
ყველგან ვეძებდი ყოფნას სიმშვიდეს, სულის  
სარგებელს,  
მთაზე ავედი, სამყაროს ზემოთ, ზედ მთის  
მწვერვალზე  
და იქიდანაც, ცად ავაბიჯე, გზა გავაგრძელე.

დეფი 3 მარტი 2013

\*

ავყურებ კედელს, ნანგრევებს კედლის, ჩემსა და  
ღმერთს შორის.  
მე ვხედავ ფრესკას, გახუნებულს ლოცვის ხახუნით...  
და როგორც ადრე სიკეთენი, ქვაზე დავდე და  
განვეშორე,  
ბედის მსახურნიც, ყველა ერთად დავიმსახურე.

უცანურია... ხმაურის შემდეგ... თავიდან ვინყებთ,  
დიდ სიჩუმეში ძებნას ერთმანეთის, ყოველი მხრიდან...  
სუნთქვაშეკრულნი, როგორც ბრმა ეძებს თითებით  
სხივებს,  
თითქოს მის თვალწინ სწორედ ის ღმერთი  
სამყაროს ქმნიდა.

დეფი 5 მარტი 2013

\*

შეხედე იმ ვარსკვლავს საით წავიდა  
ერთ რამეს გეტყვი, მინდა იცოდე,  
სიკვდილის მერე, ჰო სულ თავიდან  
ვინყებთ ცოცხლები ისევ სიცოცხლეს.

*დეფი 7 მარტი 2013*

\*

მიყვარდა ის. სახებამ მისმა  
ჩემ სულს მიწისძვრასავით გადაუარა.  
ახლა სხვა დროიდან მეძახის ის,  
ჩემ სახელს ყვირის...  
ხელი შევახე ფოთოლს, მასზე გავიფიქრე  
და გავიფიქრე თუ არა  
ჩემ ხელისგულზე ცვარის ჩამოცვივდა  
ფოთლიდან მძივი.

*დეფი 8 მარტი 2013*

\*

სიჩუმეს ვეხმიანები. ნისლი თავისი  
მაღამოსავით სურს მე წამისვას. მე  
მის სურვილებს ვეხმიანები. ჩვენზე  
გავიფიქრე... და გაფიქრების წამისას,  
ჩემ ხელისგულზე ცვარის ჩამოცვივდა  
ფოთლიდან მძივი.

დეფი 8 მარტი 2013

\*

წყალზე დავწერდი სიზმრად რა ვნახე, არა ქალღმერთზე.  
მთელი დედამიწა ყოველი ჩვენგანის გზას მიათრევდა.  
გზა ჩვენ ნაბიჯებს, როგორც სიტყვებს ისე გადანერს.  
გზების სიშორე გვაახლოვებს ჩვენ ერთმანეთთან.

მკერდით ვატარებთ ჯვრებს, სიმბოლოებს,  
ნახევარმთვარეებს.  
თუ გინდ მანდალებს, პენტაგრამებს, დავითის  
ვარსკვლავებს.  
გზებს გავივლით და ერთნაირად, ერთი ცის ქვეშ  
მათ დავამთავრებთ.  
ბევრნი ჩავქრებით... და ისევ ბევრნი  
ავივარსკვლავებთ.



და პლანეტებიც თავთავიანთ ორბიტებზე ცას გარს  
უვლიან.  
ვიცით მიზეზიც მათი მოძრაობის სიყვარულია.

*დეფი 9 მარტი 2013*

\*

შემეხე. შენი შეხება სიჩუმეა.  
შენთან განშორება, მეტყველება.  
შენი შეხებისას ყველაფერს ვხვდები.  
ყველაფერი მესმის. ყველაფერს ვგრძნობ.  
ასეთ სიჩუმეში წლები, ჰო წლები,  
სადღაც ქრებიან, მთლიანი დროც,  
სადღაც გაკრთება მართლაც წყალივით,  
სადღაც ქვიშებში ჩაიმარხება,  
სიჩუმით ცხოვრებას გავიხანგრძლივებთ,  
სინათლეში რომ ჩანს კიდევ ნათება,

ისე გამოჩნდება სიმშვიდეც შენში,  
შენია სიცხადე, სიზმარიც შენია,  
მინდოდა მეთქვა მიყვარხარ ბევრჯერ,  
მაგრამ სიტყვები ასეთ დროს ქრებიან.

*დეფი 11 მარტი 2013*

\*

ჩრდილი საკუთარი  
სულ უკან დამდეგს,  
ნეტავ გზა ჩვენი ან  
სად გარიყავს, ჩვენ  
საქმეებს და სურვილებს  
ამდენს, ამდენ ვაჟბატონს,  
ამდენ ნაბიჭვარს.

*დეფი 12 მარტი 2013*

\*

სილარიბეშია სიმდიდრე... და  
სიჩუმეში ხმა. იარაღს დავუშვებ  
და არ გავისვრი... და მთავარია  
გვერდით ვინ გიდგას... და არა  
ვინ გყავს მტერი პირისპირ.

*დეფი 13 მარტი 2013*

\*

იქცნენ სუნთქვანი საფლავის  
ქვებად... ქვებს კი ჩიტები  
სულ უმღერიან... და ყველაფერი

ერთ წამში ქრება... და ყველაფერი  
სისულელეა.

*დეფი 14 მარტი 2013*

\*

და ვნება ჩემი ჯერ ისევ ღვივის  
და ისევ ცეცხლია და არა ფერფლი  
და თუ მტკენს ის მტკენს და ის მირჩენს  
ტკივილს, მიყვარხარ მითქვამს  
და ისევ გეტყვი...

და როგორც ადრე, დიდი ხნის წინათ  
ბრწყინავდნენ ვარსკვლავნი და ისევ  
ბრწყინავენ... და თითქოს მათ შორის  
წვანან და სძინავთ, ზეცათა მგზავრებს  
სიზმრად მფრინავენ...

სიცხადეს რომლებიც, ზვერავენ  
თითქოს, ჯილდოვდებიან ყველა  
უფლებით, მე ეგეთი ვარ,  
მე ასე ვფიქრობ...  
და რასაც ვფიქრობ შენ გეუბნები.

*დეფი 21 მარტი 2013*

## ერთნი

ყოველი სიტყვა წმინდაა.  
იტყვი მათ... დაწვავ მათ  
საკმეველივით.  
სინმინდეს გამოიხმობ  
და სუნთქვანი შენი შეირხევიან.  
შეირხევიან ცეცხლნი და საიდუმლონი.  
შენ მოხვალ და მცირე ხნით,  
ჩემ გულში დაივანებ.  
ან სამუდამოდ ჩამრჩები,  
განმარტოებული ჩემში.

წმინდაა ყოველი სიტყვა. ის გაგაცოცხლებს...  
ერთი ყოველთა... ისმის ის ყველგან  
თუ ერთხელ ითქვა და ითქვა შენ მიერ  
და გაცხოველდა.

ის საჩუქრებად გადაარიგებს  
სიცხადეს, სიზმარს...  
შენ მეუბნები,  
სიმდიდრე ერქვას ჩემ სიღარიბეს,  
დაჯილდოვებულს ყველა უფლებით.

დაჯილდოვებულს და გვირგვინოსანს.  
ის საიდუმლოს შენ თვალწინ ამხელს

და სიყვარულით შენ სულს შემოსავს  
და მდუმარებით გაგიხსნის ბაგეს.

ჭეშმარიტებას თითქოს დაღადებს,  
დიდი სიჩუმის კანონის ნებით,  
ბალახიც თავს ყოფს ქვის იატაკზე,  
ხელებგაშლილი ნისლებზე ვნებები

და მივტივტივებ ჯერ შეუცნობელ  
ყველასთვის უცხო ნაპირებისკენ  
და მე სამოთხეს შენ გულს ვუნოდებ  
ჩემში რომელიც ფეთქვას დაიწყებს,

როცა კი ერთნი ჩვენ შევიქმნებით,  
მოვეფინებით მთლიან სამყაროს,  
ქრობის და გაჩენის წრებრუნვის ვნებით  
მე ძალა შემწევს დღესვე გახარო,

ერთია მიწა და ერთია ცის ნამიც  
და სინათლეებს სინათლე მიჰყვა  
და ისევ გეტყვი მიყვარხარ, იყავი!  
წმინდაა რადგან ყოველი სიტყვა.

*დეფი 22 მარტი 2013*

\*

წვიმების შემდეგ  
ჩვენ ერთად ვთვლემდით,  
ცხადიც და სიზმარიც ერთმანეთს გვანან,  
თვლემდა ღეროზე მიბმული წვეთიც,  
წვეთში კი სამყაროს გამჩენი ძალა.

დეფი 23 მარტი 2013

\*

თითქოს სითბოდან ყინვაში გავდივარ,  
როცა გავდივარ ხალხში.  
სიტყვები...  
მე მათ მივყვები, ჩემი სახლიდან  
გადიან, ფრენენ ჩემი სიზმრებიც...

და წამით ქრება ხმაური.  
წამით...

თევზი ამოხტა თითქოს წყალიდან.  
სულ ერთი წამით, ოქროსფერ წამით  
დრო შეჩერდა და... ისევ წავიდა...

ვიცი,  
სიჩუმეა ხმაურის აზრი...  
ყურს როცა ვუგდებ მესაუბრება,

როგორც ძმაკაცი კარს როცა გახსნის,  
დგას და მილიმის...  
სიზმრებს სუნთქვებად

ისიც წინ მიფენს, სწორედ იმ წამის  
წავლებას ასწრებს სანამ ის სხლტება,  
იმ ამომხტარი თევზივით...  
ლამის...  
იქნებ ეს წამიც პოულობს შვებას,

მთელი დროიდან როცა ის გადის  
იმავე დროშიც უკან ბრუნდება  
და თითქოს ხედავს ღვთაების სახეს  
ვნებით წასულს და მოსულს უვნებლად.

*დეფი 23 მარტი 2013*

\*

ჰაერზე ვპოულობთ ჩვენ ფეხის სადგამს.  
მინაზე დგომა ჩვენ ალბათ შეგვშლის.  
გიყვარვარ ვინც ვარ ისეთი რადგან  
ჩემს გარდა არაფერს დაეძებ ჩემში.

*დეფი 25 მარტი 2013*

\*

ღამეში ჩავნექით...

ჩავეფლეთ ყელამდე...

ღამემ გვისიზმრა, ნელა და უცებ...

სიზმრებში ჩვენივე ფრთები ელავდნენ,

სამყაროს გული სიზმრებით უცემს.

სიჩუმეს უსმინე...

სათქმელს ის გეტყვის...

თვითონ სიცოცხლეა ის ერთადერთი

მიზეზი სიკვდილის, ბოროტს და კეთილს

ვინც ვერ ითავსებს და მაინც ეტრფის.

ტრფობა კი ჩვენი

უსასრულოა...

და მე მიყვარხარ უსასრულობით,

მივედით თითქოს ღმერთის იმედით

ერთმანეთამდე. ვუსახსოვრებდი

ჩემივე წარსულს...

ჩემივე აწმყოს...

სიბნელე ზოგჯერ ყველას გვაბრმავებს,

შუქივითაა, მსურს ხელი ვახლო

უსასრულობის ამ დიდ სათავეს

მოგავს რომელიც

სამყაროს სამოსს...



ისიც მოვიცვა, მის სუნთქვებს შევყვე,  
იქაც მოგძებნო, კვლავ შეგიყვარო,  
სიკვდილისა და სიცოცხლის შემდეგ.

დეფი 26 მარტი 2013

\*

ქალი ქარგვისას უცებ გაჩერდა.  
იგაზაფხულა ცამ ზეციონთან...  
ზედ სახლის ზღურბლზე, იდგა  
ანგელოზი... და სხივებშორის  
შემოდოდა.

თქმა,  
უნაზესი ხმებით ეწადა... მუსიკა  
ჰგავდა იმის ლაპარაკს... ქალს  
დაასუნთქა სიტყვა ზეცათგან  
და საიდუმლოც იმ წამს ახარა

და მყის გაფრინდა  
წარმომგზავნელთან...  
ოთახიდანაც სხივები მიქრნენ...  
საიდუმლო კი სადაც მჟღავნდება,  
ჭეშმარიტება ინათებს იქვე.

ქალი შეთრთოლვით, სიტყვებს  
ფიქრებში, იმეორებდა  
ექოდ დანარჩენს:  
დედათა შორის კურთხეული ხარ,  
დაორსულდები და ღმერთს გააჩენ.

დ.7 აპრილი 2013

\*

მთვარე ტივტივებდა. ჩუმად და გულაღმა.  
ლღვებოდა ღამე. ყველასთვის საერთო  
ღვინის შუაგულს ღვინო დაუმთავრდათ,  
მექორწინებებს სევდა დაეტყოთ.

ისიც იქ იჯდა, მონვეულ სტუმრებთან.  
დრო ამქვეყნიური ჯერ კიდევ ჰქონდა.  
დედამისს კრძალვით გული უცემდა,  
აქ ერთადერთხელ გაანდო თხოვნა.

მას კი გაეღიმა...

ის არ ჩქარობდა...

საკვირველება ახსნას არ ცდილობს.  
მისი გაფიქრებაც წყალს ეწყალობა  
და გადაიქცა იმნამსვე ღვინოდ.

დ.29 მარტი 2013

\*

ღამეა.

შიშით და განსაკუთრებით

თრთიან ვარსკვლავნი

სხივებფრთებიან,

მებაღურები ცას აჰყურებენ,

რა მოხდა წამის წინ ჯერ ვერ ხვდებიან.

სიჩუმეს ტალღების ხმა ახმოვანებს.

სამყარო ამ წამს სასწაულს ეტრფის,

რადგან გაოგნდა, ღრმა და მთრთოლვარე

წყალს, რომ დაადგა ღვთაებამ ტერფი.

*დ. 27 მარტი 2013*

\*

...ჩვენ დავიკარგეთ, გვითხარი რა ვქნათ...

ეკითხებოდნენ ყოველი მხრიდან...

...ვიყავით ახლოს სამოთხის კართან,

მაგრამ იქ იმ კარს არავინ ხსნიდა...

მან უპასუხა: ...თქვენთვის წინასწარ

რაც კი რამ მითქვამს, განგიცხადდებათ,

თვით ძე უძღებსაც სახლში მიმავალს

სიცოცხლე ელის მამის კალთებთან,

სიბრძნე სავსეა ხშირად ეჭვებით,  
გულუბრყვილოა კაცთა სიმტერეც,  
სამოთხე თქვენშია და ვერ ეჩვევით,  
ყველაფერს ნახავთ თუ დაიჯერებთ,

თუ გეყვარებათ ისე ერთმანეთი,  
საკუთარ თავზე როგორც აბოდებთ,  
თქვენივე კარიც თქვენ თვითონა ხართ,  
სიყვარულია თქვენი სამოთხეც.

დ. 8 აპრილი 2013

\*

გზებზე მიყრილი ქვებიც კი  
წამით,  
მისი იქყოფნით გასულიერდნენ.  
ვარსკვლავთა შუქებს  
ლამენი სვამდნენ, სადღაც  
სამყაროს დასალიერზე.

ბრმებს აეხილათ  
უსასრულობაც,  
გამჭვირვალეების ფერადოვნება,  
როგორც რიჟრაჟი ზეცის

სულს მოსავს, ცხადს კი  
სიზმარი ესახსოვრება.

მაშინ ისინი მეძავს ქოლავდნენ  
და ასეც ჰკითხეს:  
ხომ უნდა მოკვდეს?  
იქნებ შენ გვითხრა სხვების  
მოსვლამდე, შენ ხომ ბრძენი ხარ,  
კანონთა მცოდნე.

თავთავიანთი სინდისის წინაშე  
პირისპირ იდგნენ ყველანი  
ღმერთთან,  
ხოლო ეს კაცი თითით ქვიშაზე  
თავისთვის ჩუმად რაღაცას წერდა.

წერის დროს გახედა ჩრდილებს  
შენობის...  
და უცნაური სიმშვიდით თქვა:  
თუ კი ვინმეა სუფთა თქვენ შორის,  
იმან ესროლოს პირველმა ქვა.

*დ. 1 აპრილი 2013*

\*

სიკეთენია თუ კი რამ ქვეყნად  
ამ კაცში მნათობს...

აი ის,

მოდის...

სახენაცრემლი, მღვიმესთან დგება,  
გადააგორეს საფლავის ლოდი.

ძალა სიცოცხლის ისმის სიტყვებად,  
სიტყვები ქვებსაც შიგ გულში შესდით,  
თვითონ ეს მღვიმეც შიშით ფითრდება,  
ხედავს რა აღმდგარს ლაზარეს მკვდრეთით.

*დ. 9 აპრილი 2013*

\*

დღესასწაულზე,

დიდებულ ქალაქში, ის ადიოდა,

მჯდარი ჩოჩორზე.

სალამოს ბინდი თავის კალთას შლის.

ზეცის სიჩუმე მინას მოსწონდეს.

ხალხის ნაკადს კი,

ვრცელს და სხივოსანს,

დროის და სიზმრების მდინარე მოჰგავს.

მას სევდა ედო გულზე, იცოდა  
ალარ გაუშვებდნენ აქედან ცოცხალს

და თურმე მართლაც,  
ღმერთს აქ მოკლავენ, სამი დღის  
მერე კი კაცთა ფიქრებად, მთელ  
წუთისოფელს მზის ამოსვლამდე,  
ისევ სიცოცხლე მოეფინება.

*დ.6 აპრილი 2013*

\*

თანავარსკვლავედნი გადმოხრილიყვნენ.  
ზეცის მუსიკიდან მინის სამხატვრომდე.  
მონაფეები თავიანთ მოძღვარს  
ღამეში შეჰყვნენ...  
და იქ განმარტოვდნენ.

ბუნება საკვირველ მის სიტყვებს გრძნობდა.  
ათასწლეულთა დიდებას გრძნობდა.  
სამარადისო თითქოს სინამდვილეს,  
გინდაც მშვიდობათა  
და გინდაც ომთა.

ის კი პურს ტეხდა, ავსებდა სასმისს  
და იგავებით უმხელდა ცოდნას

და ზეთისხილის ხეების გასწვრივ  
ოქროთა მტვერიც სხივებში თრთოდა.

ის მათ უმხელდა ყველა საიდუმლოს.  
მათივე ადგილს მთლიან სამყაროში.  
სიცოცხლეს ვინც გასცემს მანვე დაიბრუნოს,  
როგორც წვრილი ღერო მთელ ვარდს გამოშლის.

ერთი მათგანი კი მიწას დაჰყურებდა.  
სულში აჟრჟოლებდა. ძრწოდა და სახეს  
ხელით იფარავდა, რიჟრაჟის უბედან  
სინათლე როგორც სიბნელეს ამხელს.

თვალის უპეები დანითლებოდა.  
ყელშიც უჭერდა რაღაც სიმწარე.  
რადგან იცოდა საკვირველებას  
ვერ დაინახავ თუ არ იწამებ.

და მერე ადგა. მათ გაეცალა.  
აღარ ეძებდა სახლს ან სამოთხეს,  
მამებთან მივიდა და უთხრა ასე:  
მე რას მივიღებ თუ მას გადმოგცემთ.

დ. 31 მარტი 2013



\*

მისი სიტყვები აღარ ასვენებდნენ.  
მიხვდა ამაღამ ჟამი ზღაპართა  
უკვე მთავრდებოდა. კედლებს,  
დერეფნებს, ძრწოლვით მიანყდა  
და თავს არ ჰგავდა.

აღარ შეეძლო და არც ენება  
ფიქრი ან სუნთქვა, შიშებს უჩენდა,  
მისი სახელის ერთი ხსენებაც  
სიკვდილს იხმობდა იმ ბნელ  
ქუჩებთან.

და კაცს კი, რომ სცემდნენ,  
ეს ხალხს მოსწონდა...  
კოცონთან თვითონაც ნელა მივიდა,  
ატირებულმა იყვირა: არ ვიცნობ...  
და ღამეც შეძრა მამლის ყვილმა.

დ. 30 მარტი 2013

\*

ადამიანებს ისინი არ ჰგავდნენ.  
ნაკბენებს გრძნობდნენ  
ფეხებქვემოდან.  
ხტოდნენ და ილრიჯებოდნენ  
და სულით ყარდნენ, კანი ეწვოდათ.

რამ გააგიჟათ.  
რამ გააცოფათ.  
ქვეყნიერებაც იმ დღეს დაბნელდა.  
ველარ აგნებდნენ გზას და სალოცავს,  
სიკვდილნი იჯდნენ მათივე სახლებთან.

ან რას ითხოვდნენ განა იცოდნენ,  
სიმტერე სიკვდილს ყველა კარს უღებს.  
ოღონდ მოესპოთ იმის სიცოცხლე,  
ამ, სიმართლეში დარწმუნებულებს.

აი, მათ წინაშე ის ახლა გამოყავთ,  
ტანდაგლეჯილი, სულ სისხლით იწვის  
და ყველა ბლავის შორით ახლოდან:  
თუ გსურს მშვიდობა ჯვარს აცვი იგი!

*დ. 1 აპრილი 2013*

\*

შუადღეს მოჰგვარეს და წარუდგინეს:  
აი, ესაა ამ ხალხის მეფე!  
მეფე?.. დაეჭვდა...  
უნდა უფრთხოდეს  
ასეთ დიდებას... ვნახოთ თუ შემეყვეს

ღრმად საუბარში...  
ნეტავ რას ფიქრობს...  
თქვა და თვალეში როგორც კი შეხედა  
რალაც სხვა იგრძნო, ეს გრძნობა თითქოს  
მიაჯაჭვებდა ყოველ შემხვედრთან.

თითქოს გაიგო ყველაფრის აზრი.  
სიკვდილის, სიცოცხლის მიზეზსაც მიხვდა.  
დრო როგორ ჩერდება ან თუნდაც გადის  
და არ დაუძრავს არც ერთი სიტყვა.

ის მიხვდა ყველაფერს...  
ვინ იყო თვითონ...  
ნუთუ ეშინია, უყვარს, თუ სძულს,  
როგორ და რატომ შეიქმნა სამყარო,  
ძალაუფლებას, დიდებას, ფულს,

რა დღე დაადგება ათას წლის შემდეგ,  
ვინ რას ჩაიდენს გადასარჩენად,  
ამ კაცის გაშვებას თუ კი ის შეძლებს  
რა შეიცვლება ან რა დარჩება.

თითქოს გაანდო რამე საიდუმლო,  
ძმამ, მეგობარმა...

ან ამხანაგმა...

...მაინც რა არის ქეშმარიტება?..

ზედ მის სახესთან ჩაილაპარაკა.

ახლა წინ უდგას ქეშმარიტება...

ვის საფეთქლებთან ცის სისხლი წვეთს

და ადრე ნათქვამის შინაარსს ხვდება...

კეისარს კეისრის, ღმერთისა ღმერთს.

დ.2 აპრილი 2013

\*

აუნთე გული. ყველა განკურნე.

თითქოს სამოსელიც სპეტაკი ეცვათ.

აჩუქე სიცოცხლე, გზა, თუ საუნჯე,

მაგრამ დაირაზმნენ და ყველას ერთად,

ურცხვი ჯოგივით სამოთხედ შესულთ,

სისხლი მოსწყურდათ და შენსას სვამდნენ,

იმ ალტაცებით ძიძგნიდნენ შენ სულს,

ადრე რომლითაც აჰყავდი ცამდე.

დ.5 აპრილი 2013

\*

ჯერ ისევ ბნელოდა...  
კვირას გარიჟრაჟზე...  
ბაღში, იმ ადგილას ქალები მივიდნენ.  
სამი დღე თქემის და სიკვდილის შემდეგ  
მინისძვრის შემდეგ,  
იდგა სიმშვიდე.

წვეთნი,  
ანგელოზთა ისმენდნენ სიტყვებს  
და უეცრად ეს ბალი ისე განათდა,  
ყველანი გაშეშდნენ, ყველაფერს მიხვდნენ,  
მათი სიყვარულის  
ცარიელ სამარხთან.

*დ. 31 მარტი 2013*

\*

და როცა შემოვიდა დახურულ კარს უკან  
დადგა მათ წინაშე. ისინი შეკრთნენ.  
ახლა ამ კაცში და მის სიმშვიდეში  
მთელ ზეცას ხედავდნენ  
ვარსკვლავთა შემკრებს.

ჰაერი ოთახში სხივით ირხეოდა.  
სხივნი მიიზიდეს ნახვრეტმა მაჯებმაც.  
მხოლოდ ერთ მონაფეს უკვირდა  
ფიქრობდა: სანამ თითს არ ჩავყოფ  
მე რატომ არ მჯერა.

დ. 30 მარტი 2013

\*

მთელი სამყაროს თითქოს ზემოდან,  
სულშივე გრძნობდნენ სუნთქვებს  
ზეცათგან...  
თან სიხარული ეცრემლებოდათ,  
ხმის ამოდებას ვერავინ ბედავდა.

მერე ყველანი მთაზე ავიდნენ.  
ცა დაწეულიყო, იმ მთასთან იწვა...  
და აჰყურებდნენ აშტერებულნი,  
როგორ ტოვებდა უფალი მიწას.

დ. 28 მარტი 2013

## ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე

უნონობაში...

თითქოს სიზმართან,  
ზედ ზეცის სულზე ტივტივებს მინა.  
ხალხთა ნატერფალს გულში ინახავს  
მათ ბედისწერას გულითვე იცავს.

ჰო...

დედამინა მნახველი ყოვლის,  
თუ კი რამ მოხდა, ხდება, მოხდება,  
თავის დიდ ვარსკვლავს გარს შემოუვლის  
და საჩუქრებად გასცემს ცხოვრებას.

ნამს შეაყოვნებს...

და დრო მაინც გადის  
და სხვა მომავალთ მათაც ასევე  
იმ საოცარი და ძველი ამბის  
თავსა და ბოლოს ის გაახსენებს.

ვინც გინდა იყოს...

მაინც გულსა სტკენს,  
ღმერთის შესაქმეს კაცთა ნახელავს,  
ავარსკვლავებულ სხვენსა თუ ნამსხვრევს,  
ამ ერთ დიდ სევდას, როცა ახედავს.

გული დაწყდებათ ცაში თუ ქვეყნად,  
რატომ არავინ იმ კაცს არა ჰგავს  
და არჩევანი როგორც კი დგება,  
ხალხი ყოველთვის ირჩევს ბარაბას.

*დ. 3 მარტი 2013*

\*

და სულ ბოლოს მხარობელნი დადუმებულთ  
ჰგავდნენ მგოსნებს,  
ყველა თავის გზას დაადგა განესმინათ მისი სიტყვა,  
როგორც სიზმრად ისე აქაც დასასრულსაც სევდა  
მოსდევს,  
იმით კრთოდა მათი სული რაც ითქვა და რაც არ  
ითქვა

და ჩვენ შორის, როცა ისევ სიმარტოვის ჟამი დადგა  
და ერთმანეთს ისევ ვეძებთ, მე მიყვარხარ მაინც  
გეტყვი  
და მთლიანი ამბის ბოლო აღსრულდება კარგად  
რადგან,  
დასაწყისში იყო სიტყვა და ეს სიტყვა იყო ღმერთი.

*დ. 10 აპრილი 2013*



\*

და ყველგან სინათლე, სიმაღლე ყველგან,  
ყველგან გაშლილი, აშლილი სამყარო,  
მე თავს არ ვიმართლებ, მე მართლა მედგა  
სხეულში სული, გთხოვ დამანყნარო  
უსულოდ არ ვარ, მე მხოლოდ მიკვირს,  
სული მიდგას თუ მთელი სამყარო...

დ.

\*

ბოლოს ყველაფერი მაინც კარგადაა  
და დასასრული დასაწყისს ითხოვს.  
ვარსკვლავი წყდება და სადღაც  
გადააქვს, ის ცის ნატეხი ვინც იყო  
თვითონ.

დ.

\*

აქ, რომ იცოცხლო მკვდარი უნდა იყო.  
სანამ ცოცხალი ხარ, აქ ვერ იცოცხლებ.  
ვერც გააჩუქებ მაგ შენ სიცოცხლეს.

დ. 19 აპრილი 2013

\*

წვიმების შემდეგ  
მე წამით ვთვლემდი,  
ცხადიც და სიზმარიც  
ერთმანეთს გვანან.  
თვლემდა ლეროზე  
მიბმული წვეთიც.  
წვეთში კი სამყაროს  
გამჩენი ძალა.

სიზმარში დავეფლე.  
ვეცხადე სიზმარს.  
ნისლზე მოტივტივე  
ფოთოლისავით.  
მადლობა ღმერთო,  
ისა ვარ ვინც ვარ  
და ვინც შენ გინდა  
ვყოფილიყავი.

დ. 22 აპრილი 2013

\*

არ მოიწყინო  
ზღაპრისთვალემა,  
როგორც დავინყეთ  
აღფრთოვანებით,  
ამბავი ასევე  
დაგვიმთავრდება,  
ჩვენ სიჩუმეებს  
ვახმოვანებდით

ამ ერთი სიტყვით,  
სიტყვით – მიყვარხარ.  
მინა ხომ ჰაერს, ცეცხლს  
და წყალს ერთვის  
და სინათლე დგას  
ჩვენივე სიტყვასთან,  
ამ სიტყვაშია სიცოცხლეც  
ღმერთის.

დეფი 24 აპრილი 2013

## ქიზიყში აღდგომისას

ღვინო განკაცდა და სისხლი გახდა.  
განკაცდა პური... და დედამინამ  
ხორცი შეისხა... მუსიკა ცათა  
ჩვენში გაისმის... სული დაგვინნა

ყოველმა სუნთქვამ... როცა კი ერთმანეთს,  
ვეუბნებოდით — მე შენ მიყვარხარ...  
ჩვენ ყველა ქირი ლხინით შევცვალეთ,  
სიცოცხლე დავდეთ ყოველ სიტყვასთან.

*დეფი 9 მაისი 2013*

\*

ცას ავხედე. მერე დედამინას ყური  
დავადე და მე მინამ მითხრა:

გზას აადექი დიდ აღმართებზე,  
ხშირად სიჩუმეც მუსიკას ჰგავს.  
ფრთხილად იყავი, ვის აღმერთებენ  
იმას მალევე აცვამენ ჯვარს.

*დ. 9 მაისი 2013*

\*

მიყვარდე მინდა  
ბოლო სუნთქვამდე.  
ქვეყნად ავსებდეს ის წამი  
ყველაფერს.  
ვინც კი წმინდაა  
სუნთქვაც უნათებს,  
ვინც შეიყვარა,  
ის შეიყვარეს,

დღეს ვისაც ნახავ  
ყველას უთხარი,  
შუქი დიდი ხნით  
დააგვიანებს,  
არც სამყაროს ხმა,  
არც საკუთარი,  
რადგან არ ესმით  
ადამიანებს.

დ. 14 მაისი 2013

\*

„ვერაფერს მიაღწევს“, ფიქრობდნენ მტრები.  
„ვერა, ვერ შეძლებს“, სხვებიც ფიქრობდნენ.  
ცალ-ცალკე გვცეცა და ერთად კი ვთბებით,  
გინდაც რჩეული ვინმე მიწოდე, გინდაც  
არავინ, მე ჩემსას გეტყვი:  
„მას გამოუვა“,  
ფიქრობდა ღმერთი.

დ. 22 მაისი 2013

\*

ჩვენ ისევ მოვკვდით, მერამდენეჯერ,  
სიცოცხლე, როგორც ღმერთის ანდერძი,  
აყროლდა ჩვენთან, ჩვენ ხომ ჩვენივე  
ღმერთის ჭამითაც ველარ გავძეხით.

დ. 23 მაისი 2013

\*

როგორც სხვას ვძულვარ, ისევე მიყვარდეს მე.  
როგორც სხვა მკლავს, ისევე ვაცოცხლებდე მე.  
როგორც სხვა მტანჯავს, ისევე ვანუგეშებდე მე.  
სიმართლე ისაა და ისეთია მე თვითონ ვინ ვარ

და არა რა მწამს და თუ ვასრულებ ჩემივე ნათქვამს  
ერთ მშვენიერ წამს გავხდებით ღმერთი.

დ. 24 მაისი 2013

\*

შეხედე ქალაქებს, სოფლებს და ქვეყნებს  
და მითხარი, რას ხედავ.

შეხედე ხეებს, მდინარეებს და მთებს,  
ზღვებს შეხედე და მითხარი, რას ხედავ.

ცას ახედე, ვარსკვლავებს და პლანეტებს  
და მითხარი, რას ხედავ.

მე შემომხედე და თავს შეხედე და მითხარი,  
მითხარი ვის ხედავ. სიზმრად რას ხედავ  
ესეც მითხარი. თუ ხედავ რამეს...

შინაარსს იგებ... აქ სიცოცხლეა თვითონ  
სიზმარი და სამომავლოდ წარსული ისევ,

აქ სულ ბრუნდება და ისევ მძიმედ,  
ისევ ხელახლა და სასიკვდილოდ,  
ჩვენ სადღაც ვქრებით, ძველ სიზმრებს  
მივდევთ, გინდ მოვინყინოთ, გინდაც  
ვიცინოთ,

აქ სულ ერთია, აქ ყველა ქრება,  
სულ ყველაფერი, დროც და საგნებიც,  
ჩვენში ქრებიან, ჩვენ მათთან ერთად  
წამით გაფრინდებით და მაინც ვქრებით,

აღარავინ ვართ კვლავ ისევ ერთად,  
მე კი სულ მინდა გგრძნობდე  
წინასწარ... და ერთი სული სამყაროს  
ედგას და იმ სულს ერქვას მე შენ  
მიყვარხარ.

*დეფი 26 მაისი 2013*

\*

რა აქვს საერთო ნაცარს და კოცონს,  
მარცვალს და ნაყოფს, დუმილს და სიტყვას,  
მე მიყვარს მანამ სანამდეც ვცოცხლობ  
და ვცოცხლობ მანამ სანამდეც მიყვარს,

ჩვენი სიტყვები, ვამბობთ თუ ვისმენტ,  
ჩვენი ხორცი და ჩვენი სისხლია.  
გულში იფლობენ მთლიან სამყაროს,  
უსასრულობას, მის ყველა ნამცეცს.  
შეყვარებისას, ზეცის ძალა გვაქვს  
და დედამიწის და შეგვიძლია,



თუ კი მოვკვდებით, თუ ჩვენ  
მოვკვდებით, სიკვდილის მერეც  
ცოცხლები დავრჩეთ.

დეფი 28 მაისი 2013

\*

ერთად გავაჩენთ,  
ცალ-ცალკე დავკარგავთ,  
სიყვარულს ჩვენსას,  
ვერ სძლევენ ომებით,

მიყვარხარ,  
მიყვარხარ,  
მიყვარხარ,  
მიყვარხარ,

ერთად გავუძლებთ,  
ცალ-ცალკე მოვკვდებით.

დ. 9 ივნისი 2013

\*

მე ცა ვარ. ზეცაა ჩემში. მე ცით ვიმოსები.  
სხეული გავშალე, ცა ამოვისუნთქე.  
თანავარსკვლავედთა გზით და  
სხივოსნებით, ტუჩებს შერჩენილი  
ამბორის სიცოცხლედ.

დ. 12 ივნისი 2013

\*

ჯერ იბადები.  
პეპლებიც ფრენენ.  
იყვარებ. ცხოვრობ.  
ღებულობ. გასცემ.  
და ბოლოს კვდები.  
სიკვდილის მერე,  
იღვიძებ თითქოს  
სიზმრებით სავსე.

დილა ფრთებივით  
მთლიან ღამეს შლის  
და აღარ გახსოვს,  
მაგრამ გგონია,  
დასეირნობდი  
თითქოს ბაღებში

და ბალებს შორის  
ის მინდორია,

რომელზეც დარჩა  
შენი ბავშვობა.  
მთელი ცხოვრება,  
რომელსაც ერთვის  
სამყაროს სადღაიც  
მეორე ბოლოდან,  
ვარსკვლავთა კრთომა,  
თვალები ღმერთის.

*დ. 15 ივნისი 2013*

\*

არსი სიზმარის სიკვდილს  
ემგვანება, შემშლის მე ალბათ  
ყოფნა სიცოცხლედ, ნეტავ  
ვიცოდე თავი მე შენში  
რამ შემაყვარა ნეტავ ვიცოდე.

*დ. 24 ივნისი 2013*

\*

ზედ მწვერვალებზე  
აღმა შორეთის  
ცის ჩრდილი გაწვა...  
და სიზმარს მოგავს.  
მტრებო, მეგონა თავს  
აჯობებდით,  
როცა გიშვერდით  
მარჯვენა ლოყას.

დ. 26 ივნისი 2013

\*

თვითონ შუქია ჩემი  
სამშვინველი...

დრო კი სულ ქრება  
სიზმარწყალივით,

წამში ვირევი და იმ წამს  
დავმშვიდდები,

სულს მოვითქვამ და  
გვერდით ჩაგივლი.

არასდროს გავთქვამდი  
თავს...  
და არც ვმაღავდი,

ქვებს აღარ ვაგროვებ  
და აღარც ვფანტავ...

და ხმას არ იღებს  
არსად არავინ,

კაცს, როცა კლავენ,  
ზეცამდე მართალს.

ის კი სიკვდილისას  
თვალეებში ჩახედავს,

ყველა თავის მკვლელს  
და გაულიმებს,

სიკვდილს ამგვანებს  
მუსაკას, ნახატს

და პოეზიას, გრძნობას  
ხუთივეს

და სხვა გრძნობებსაც  
იკრებს უსასრულოდ,

უსასრულოდვე გასცემს  
და ჩუქნის,

სიზმარს და სიცხადეს  
ის ერთად სტუმრობს

და ზღვარზე დგება  
შავის და ლურჯის

და მის სულში კი  
უფაქიზესი

ანგელოზები ფრენენ  
და სხედან

და ველარავინ ველარაფერს  
გრძნობს,

როცა კი ქრება  
სინათლე ყველგან.

*დ. 1 ივლისი 2013*

\*

ფრთოსნები ფრენისას ნაკვალევს ტოვებენ.  
გვგონია ვერ ვხედავთ. შორია იქამდე. იქ  
არაერთხელ ვარ ნამყოფი. ვიცი. იქ  
ვერ ავიდოდი, შენ რომ არ მიყვარდე.

*დ. 5 ივლისი 2013*

\*

უკვე არ ვეკუთვნი შენ სიმარტოვეს.  
თუ ატყობ არ ვიღებ არც ერთ შენ  
გზავნილს.  
მინას ავცილდი და მივატოვე.  
ამოვისუნთქე. ცის სუნი ამდის.

მით უფრო გშორდები, მით უფრო ვხედავ.  
მით უფრო მესმის, მით უფრო ვგრძნობ,  
თანავარსკვლავედებს სამყაროს სხვენთან,  
სიზმრების შორის გამდინარ დროს

და სივრცეს, რომელიც სახებას იცვლის.  
მე მას ვუყვარვარ, მე კი ის მიყვარს  
და სული ჩემი, სევდით და სიმწრით  
ამბობს, მიიღებ რისი ღირსიც ხარ,

თუ რამ გეკუთვნის და იმსახურებ,  
შენი იქნება და უკვე არის,  
სიჩუმე აწევს ზეცის სახურავს,  
ღამეა, თვლემენ მაცნენიც ხვალის.

დეფინ ივლისი 2013

\*

მე და შენ თითქოს სხვის სიზმარს ვგავდით.  
ის სხვა კი ვინ იყო მართლა არ ვიცი.  
მართლა არ ვიცი ცუდის და კარგის  
ზღვარი სად გადის და სუნთქვა მიწის  
მანც იგრძნობა ფეხს როცა ვადგამთ,  
როცა დავდივართ თითქოს ვტივტივებთ,  
თითქოს ვიხსენებთ ბავშვობის ამბავს,  
იმ ძველ მუსიკას და მის სიმშვიდეს.

თუ ვინმეს ვენდეთ ერთმანეთს ვენდეთ,  
მინდვრებს სიცხეში, ტყეთა სიჩუმეს,  
მდინარეების თევზებს და კენჭებს,  
ცხოვრებაც ჩვენი მათგან ვიჩუქეთ  
და ახლაც მე და შენ იმ სიზმარს ვგავართ,  
რომელიც აუხდა სადღაც ვიღაცას.  
მთავრდება ამბავი ყოველთვის კარგად  
და კვლავ იწყება ახალ სიზმართან



და მერე სამყაროს მთლიანი სხეული  
ამოგვისუნთქავს ჩვენ ყველას ერთად,  
სინათლე სულში სიბნელეს შეუვლის  
გადანათებს ისიც და ღმერთთან  
ალბათ დავსხდებით, როგორც ბავშვობისას  
ყოველი ჩვენგანი მჯდარა და ვიცოდით...  
და აღარ გვახსოვს, თითქოს არ გვეოფნიდა  
სიკეთე, თუ კი რამ გვერგო სიცოცხლით.

*დეფი 7 ივლისი 2013*

\*

აქედან წავედი. შენც თან წაგიყვანე.  
ვერასდროს გავიგებთ ალბათ ვერასდროს,  
ამდენი მახინჯი... და ნაბიჭვარი,  
ამ ქვეყანაში როგორ ბინადრობს.

*დ. 8 ივლისი 2013*

\*

აქ აღარ მინდა ნეტავ წამიყვანდნენ

აქედან წავალ, მალე წამიყვანენ,

მე და შენ წავალთ, მალე წაგვიყვანენ,

აქედან წავალთ, მალე წაგვიყვანენ,

აქედან წავალთ ერთად წაგვიყვანენ,

თქვენთან არ მინდა, ნეტავ წამიყვანდნენ.

ვერასდროს გავიგებ ალბათ ვერასდროს,

\*

როგორც კი გავიღვიძებთ, კვლავ უნდა შევხვდეთ.

ხილვა ერთმანეთის სიცხადედ მოვასწროთ.

გაჩენის დღიდან, სიზმრად ვართ დღემდე.

მალე გაღვიძების ალბათ მოვა დრო.

ჩვენ, სხეულს გავიხდით. მინაზე დავაფენთ.

რაც კი იგივეა ის სულ იცვლება.

გვგონია პასუხი არცა აქვს არაფერს,

თუმცა პასუხია ცაც და სიმღერაც

და ჩვენი ერთმანეთი და ჩვენი სიმარტოვეც.  
ამხელა მინაზე, მტვერსა ან ოქროში.  
სიცოცხლე საჩუქრად სიკვდილს ვუსახსოვრეთ,  
ჩვენ ხომ სიცხადეში სიზმრიდან მოვრბოდით

და გამოვაგნეთ და თან იქ დავრჩით.  
როგორც ფრინველი, ორივე ფრთას გაშლის.  
ჩვენ, ერთმანეთში ვიპოვნეთ სახლი.  
მთელი სამყაროც, თვითონ იმ სახლში.

*დეფი 12 ივლისი 2013*

\*

მე ზღვარზე ვდგავარ  
ცისა და მიწის.  
იქით ნაპირზე მისასვლელ  
ხიდთან.  
გამასამართლე,  
შენ უკეთ იცი.  
თან დამაბრალე,  
რაც კი რამ გინდა.

მე ზღვარზე ვდგავარ  
ცხადის და სიზმარის.  
ორივე ერთად

მყინავს  
და მეწვის.  
მიყვარხარ.  
ადრე შენც ალბათ გითხარი.  
გამასამართლე სახელით  
ღმერთის.

განდევნა მომისაჯე  
და თუ გსურს  
სიკვდილიც.  
რაც მიესაჯა ღმერთს  
თავის დროზე.  
წარსულს  
ყოველი აწმყო მისტირის.  
სიჩუმე სიტყვებს  
ხომ დაიხსომებს.

გამასამართლე,  
სახელით ქვეყნის.  
ხალხის სახელით,  
დათვლა სამამდე  
ყველამ არ იცის,  
ბრმა თუ ყრუს ეტყვის  
ჭეშმარიტებას,  
გამასამართლე.

ნებისმიერი  
მიზეზი ნახე.  
რა აახლოებს მიწას  
ზეცასთან  
და ნუ გრცხვენია  
თუ ჩემს ამბობ სახელს,  
ნურც გეშინია,  
როცა შენთან ვარ.

*დ. 14 ივლისი 2013*

\*

დაე ჩვენ სიტყვებს სინათლე მოჰქონდეთ.  
ვინც კი წმინდაა მისთვის სინამდვილე  
მთელი სამყაროა თავიდან ბოლომდე.  
მე გავჩუმდები, თქვენ მომისმინეთ.

*დ. 14 ივლისი 2013*

\*

გვერდი სიზმარმა  
სიცხადეს უმშვენოს  
სიზმარში ნანახს  
ცხადში არ ვიყავი,

ზოგჯერ სიცოცხლე  
ასე უშენოდ,  
მთელი თავისი  
არსით გავს  
სიკვდილს.

დეფი 30 ივლისი 2013

## ჰინდუ

აქ,  
დაივანებს ღვთაება ვიშნუ.  
ყოველის სულში შეიცვლის ცა ფერს.  
უთვალავობით მთვარის და მზის შუქს  
და სურნელებებს აქ მიმოაფენს.

აქ,  
დაივანებს ღვთაება შივა.  
აამეტყველებს სიჩუმის ანბანს.  
ასობგერებით სამყარო იშვა.  
შენ გმოსავს მტვერი, შენ განგი განგბანს.

აქ,  
დაივანებს ღვთაება ბრაჰმა.  
სიზმრად დანნული მძივი ამარტა.

სანუთრო ჩვენი მის სუნთქვებს აჰყვია.  
უსასრულობაც მასთან ამაღლდა.

აქ,  
დაივანებს ღვთაება კრიშნა.  
რამა სიყვარულს აქვე იწამებს.  
სიკვდილი რადგან სიცოცხლეს ნიშნავს,  
ამიტომ გაჩნდი დედამინაზე.

*დეფი 8 აგვისტო 2013*

\*

თივის სუნი აქვს ზაფხულს.  
პეპლების მტვერი ბავშვობას მოსავს.  
სიზმართა სუსხი სიცხადეს ახურს.  
სახით ღრუბელს ჰგავს  
და სულით მგოსანს  
მთა,  
ჩემ წინაშე ისევ ისეთი.  
მის ქვეშ და გარშემო ყვითელი მინდორი.  
აქ, ბავშვობაში სულ ზაფხულს მივდევი.  
დედაჩემისკენ სიცილით მივრბოდი.

*დეფი 13 აგვისტო 2013*

\*

სინამდვილეს  
ყოფნა შენთან ერთად  
ნამდვილი სიცოცხლე სხეულში გენვის

ზოგჯერ  
არყოფნაც ყოფნად მესახება  
ღმერთიდან მოდის და ისევ ღმერთის

წიაღს  
უბრუნდება ჩვენი სინამდვილე  
როცა ვეკვრებით ღამე ერთმანეთს

სიცხადეც  
ითხოვს აქყოფნას თითქოს  
სიზმრის სამოსელს შუქებით კემსავდეს.

*დეფი 19 სექტემბერი 2013*

\*

წახვალ გადარჩები.  
სხვებსაც გადაარჩენ.  
თან გზად გაიყოლებ  
მთელ შენს ქვეყანას.



წიგნებს მტვერი ადევთ  
სხვენში დანარჩენთ.  
სხვენიც ოდესლაც  
ჩვენ სახლს ეფარა.

ოდესლაც ბავშვების  
სიცილით სავსეს,  
ჩვენ სიზმრებს სადაც  
ავყავდით ღმერთთან.  
საკუთარ თავს მინდა  
ყოველთვის ჰგავდე,  
თუ შიგნით შეხვალ  
ან და არ შეხვალ,

თუ ისევ გადაშლი  
წიგნის თავფურცელს,  
სამჯერ დახაზავ  
შენს ირგვლივ სამ წრეს,  
აღარასოდეს  
აქ აღარ დაბრუნდე,  
არც გამოიხედო,  
არც გული დაგწყდეს.

*დ. 29 ოქტომბერი 2013*

## ნირვანა

შენში დაივანებს ჩემი შინაარსი.  
მოისხამს ბგერებს. მშვიდს  
და საკვირველს.  
ის,  
სხეულს შენსას სუნთქვით გაავსებს,  
წამოგაცოცხლებს და გაგაკვირვებს.

ჩემში დაივანებს შენი შინაარსი.  
სიცხადე სიზმარს როცა უფრო ჰგავს,  
ვიდრე ჩვენ ყოფას და სულ ასეა,  
ასე აგრძელებ მოგზაურობას.

სად ერთდებიან ნისლები, ქვეები.  
სად განიყოფა ხმა და სიჩუმე.  
კვდები და ცოცხლდები, ჩნდები  
და ქრები  
და ქრობა სულ ბოლოს,  
გათავისუფლებს.

*დეფი 29 ნოემბერი 2013*

\*

სუნთქვა, წინათგრძნობით სავსე. სუნთქვა სხივთა  
გულთან მიმაქვს. სევდა წუთისოფელს გასდევს.  
გადარჩები უკრაინა.

დ. 10 დეკემბერი 2013

\*

„გიყვარდეს.

დანარჩენს თვითონ სიყვარული იზამს.“  
მითხრა ერთმა, ვისთვისაც სულ ერთია  
მე ახლა ვინ ვარ. ვინც მიცნობს კარგად  
და სჯერა ჩემი.

„პატიე.

დანარჩენს თვითონ პატიება იზამს.,,  
მითხრა კიდევ ერთმა, ვისაც ჩემი იმედი  
აქვს და არ შურს ჩემი.

„გათავისუფლდი.

დანარჩენს თვითონ თავისუფლება იზამს.,,  
მითხრა კიდევ ერთმა, ვინც ჩემთან  
ერთ ენაზე საუბრობს და ესმის ჩემი,

სიზმართა შემდეგ... და დილის სისხმას...  
ჩვენს სუთქეებს ისხმას მეკვლე სამოთხის.  
ცის კარს, ცის ფანჯარას და ცის ჭერს  
ხელით დაიჭერს თან აქ ჩამოდის,

ვარსკვლავად მოჩანს, როცა ცას წყდება  
და სევდა ადევს, როგორც სიზმრებში.  
სიჩუმე მისი, გაისმის ყველგან,  
ჩვენც მასთან ერთად  
აღბათ ვიფრენდით

მინას არ ვიყოთ მიმაგრებულნი,  
თუ გავჩუმდებით ყველაფერს გვეტყვის,  
სიცარიელე და სიყვარული  
მიზეზი ჩვენი სამყაროს შექმნის.

*დეფი 14 დეკემბერი 2013*

\*

ბრუნდები სახლში.  
დაე გამოგყვეს ვინც შეგიყვარა  
და ვინც შენ გიყვარს  
აქ გელოდები.  
აქ, ამ ადგილას. აქ, ამ აღმართზე.  
დაე მეგზური ანგელოზებიც

გზად დაგებედოს სახლში მიმავალს.  
მე სახეს შენსას სიზმარს ვამსგავსებ  
და ვიცნობ ყველგან,  
სამოთხიდანაც.

*დეფი 17 დეკემბერი 2013*

\*

მოდით სიყვარული გავაუკვდავოთ, ადამიანთა...  
და ცხადია ღვთისა. დაე თქვენ გულებში და  
სამუდამოდ, მთელი სამყაროს სიკეთე იშვას.

*დ. 6 იანვარი 2014*

\*

მე დავიბადე  
ოცდაერთ ივნისს.  
სამშაბათ დილას.  
ნაკიან წელიწადს.

გაივლის დღე და  
ღამეც გაივლის.  
ჩვენ ახლა გვძინავს.  
ჩვენ დრო ჯერ ბევრი  
გვაქვს.

და სანამ აქ ვართ  
გარდასახვამდე,  
სანამ კი საგნების  
ვიგებთ შინაარსს,  
იქითა მხარეს  
სანამ ვნახავდეთ,  
აქ ისევ გეტყვი  
შენ მე მიყვარხარ.

*დ. 18 იანვარი 2014*

## **დემეს**

შენში სიყვარული, მინდა იცოდე,  
ჩემგან გამოჰყვა საკუთარ სხივებს.  
ახლა შენს გულშიც ღმერთი  
სიცოცხლეს, შენი გაჩენის  
წამიდან იწყებს.

*დ. 24 იანვარი 2014*

## გეტყვი მიყვარხარ

ყველანი ომში ვართ  
და ჩვენ წინაა  
თავისუფლება,  
შორი და წმინდა,  
თუ კი მართლაც ღირს  
მისთვის სიკვდილი  
ადრე რისთვისაც  
სიცოცხლე ღირდა

გეტყვი მიყვარხარ,  
მე შენ მჭირდები,  
რა განასხვავებს  
ტყუილს და სიმართლეს,  
თუ არა ნება  
ჩვენი სიტყვების,  
რომ ჩვენ გავუძლებთ  
და გავიმარჯვებთ.

დ. 5 მარტი 2014

## ლამით ჩუმად ვართ

ლამით,  
ჩუმად ვართ.  
სიჩუმეს ვისმენთ.  
სანამ ერთმანეთს  
რაიმეს ვეტყოდეთ.  
მთას,  
ამსუბუქებს  
სურნელი მთისვე  
და ნაბიჯები,  
გზათა მეხოტბე,

ასცილდებიან მინას  
და შემდეგ,  
თანავარსკვლავებთან  
ახლოს ადიან,  
ჩვენც სიზმრებს  
ავყვეთ,  
ნისლებზე შევდგეთ,  
სიმშვიდე  
მათი  
საოცარია.

*დეფი 10 მარტი 2014*



## სიტყვა ჩვენში

სიტყვა ჩვენში,  
გულის ცეცხლით ენთოს.  
მდუმარება დღესაც ჩვენში მღერის.  
რაც გადაგვხვდა ის წინ გველის ღმერთო,  
ჩვენ, შექმნილებს ვარსკვლავების მტვერით,

თუ დარჩება,  
ჩვენგან თუნდაც ბგერა,  
სიჩუმე ხომ ისევ ისე იწვის,  
მე ურწმუნოს ზოგჯერ ისე მჯერა,  
თავს ველარ ვცნობ. შენ აქვე ხარ ვიცი.

ზოგჯერ დგება,  
თითქოს ერთი წამით  
ისეთი დრო, როცა მართლა გიყვარს  
და ხმაურნიც, როცა სადღაც წავლენ  
იქ სიჩუმეც ამჭვირვალეებს სიტყვას.

დაე იყოს,  
დაე იყოს ჩვენში  
მდუმარება, მუსიკაც და სუნთქვაც,  
თუ აქყოფნა ყოველ ჩვენგანს შეშლის,  
იქ სიტყვებმა საიდუმლოდ უთხრან

შენ სიჩუმეს,  
უთხრან მე რა მიყვარს,  
მე ვინ მიყვარს, მინდა გული გთხოვო,  
სიტყვა მისდევს შუასულში სიტყვას  
არც ჩვენ ამბავს აღარ უჩანს ბოლო.

*დეფი 11 მარტი 2014*

\*

ყველა ქარმა ერთდროულად ამოიდგა სული.  
დასასრული ლამის, დილით მოახლოვდა.  
ცის კიდესთან ერთად ერთდროულად იწვის  
დასაწყისი მინის, ქმარი თავის ცოლთან

ბინას იდებს შვილში, აზრი მოსავს სიტყვას,  
ჩვენ სიტყვებით ვიშვით, მე მიყვარხარ ისევ,  
ისევ გეუბნები თითქოს ჯერ არ მითქვამს,  
ჩვენ, ძილს მინდობილნი, ავისიზმრებთ ღვთისკენ.

*დეფი 23 მარტი 2014*

## სიჩუმეში

ჩემში დაკარგულს შენში ვიპოვნე.  
გიჟის ნაბოღვარს გვანან სიბრძნენი.  
როგორც ჩვილია მამას მინდობილი,  
თავი სიჩუმეში ასე ვიგრძენი,

როგორც პირველი ბოლოს მიაგავს,  
მე თავი ჩემი ასე მომეჩვენა,  
წამითაც გაქრა სამყარო მთლიანად  
ალარც სიკეთე და ალარც ბოროტება,

ალარ არიან ამბის განმსაზღვრელნი,  
დღეს ყველა ყბედი ერთად იყურებს,  
როცა სიცოცხლესთან სიკვდილს ვაზავებდი  
მაშინაც ასეთი იდგა სიჩუმე,

როგორიც დღესაა ჩემში, ჩემ გარშემო,  
ზავი დაიდო მოსისხლე მტრებს შორის,  
ახლავე მინდა თავი შენც გაჩვენო,  
ბავშვობიდანვე გიგრძენი მემგონი,

მაშინაც სიჩუმეში ბავშვობის სუნები,  
გამჭვირვალეები, ასევე ფრენდენ,  
მთელი ცხოვრება შენ ტრფობას ვუნდები,  
სამყაროს გავლით მოსული დღემდე.

*დეფი 23 მარტი 2014*

\*

ხმა ერის ხმა ღეთისა, კი ასეა.  
ერის ხმა ღმერთის ხმაა  
და ეშმაკის ხმაა ბრბოს ხმა.  
ერი პიროვნებებისგან შედგება.  
ბრბო არარაობებისგან.  
ერმა გააჩინა იესო ქრისტე.  
ბრბომ იგი მოკლა.

მშვიდობით მეგობარო.  
დრო ამოიწურა.  
ჩვენ ერთმანეთისთვის  
სიცოცხლე გვსურდა  
და იმედების თავისუფლება  
და სიყვარული  
ყოველის სულთან.

დამშვიდობებას აღარც  
აზრი აქვს, დაესუნთქება  
სიჩუმე სიტყვებს,  
სიხარულს ვეტრფით  
მრავალსახიანს,  
დაე ჩემ სევდას  
შენი ხმა მიჰყვეს

და მანუგეშოს იქ იმ  
მხარეში, თუ კი ფონს  
გავალთ და სამშვიდობოს  
და რადგან დილა  
ლამის ბზარებს შლის,  
მაშინ ღამემაც შუქით  
გვიპოვნოს.

დ. 27 მარტი 2014

\*

შემომიშვებთ?

დღეს თქვენ გესტუმრეთ.

ლამის გათევება თქვენთან

შეიძლება?

ერთი გახლავართ, თქვენ მე

არ მიცნობთ,

თქვენი შემყურე, სხვადასხვა

სხივებად

გაშლილ სინათლედ ზეცას წარმოვადგენ,

აქ, ამ მიწაზე თქვენთან ვივანებ,

მე თქვენი გზა ვარ სამოთხისაკენ

და თავს გიტოვებთ ერთადერთ

სიმართლედ,

ასე კართან ვდგავარ, თქვენი გულის კართან,  
თქვენი გონების ზრახვებსაც ვხედავ,  
თავი სიმშვიდეში როგორ მოგენატრათ,  
როგორ იმალებით სამყაროს სხვენთან.

თუ კი შემომიშვებთ, თუ კი კარს გააღებთ,  
თქვენ ჩემში ნახავთ საკუთარ სახეს,  
საიდუმლოზეც იპოვნით გასაღებს,  
მძინარე ბავშვივით, თვალებს რომ ახელს.

*დეფი 28 მარტი 2014*

\*

ყოველი წყენა დღეს დამავიწყდა.  
დღეს,  
არ ვათანაბრებ თავს არაფერთან.  
დღეს,  
არ ვაიგივებ თავს არავისთან.  
ვარსკვლავი გუშინ, როგორც ანათებდა

დღესაც ისეა.  
მეც ისევ მე ვარ.  
დღესაც ვარ არავინ და არაფერი.  
ის ვარსკვლავებიც სამყაროს სხვენთან  
შუქს ფრთოსნებივით  
შორით აფრენენ.

მთლიანად სავსე ვარ  
სიცარიელით.  
დღეს ვაკვირდები თავსაც  
და ვხედავ,  
ჩემს ათასწლეულს ვინამიერებ,  
ცუდის და კარგის შეცნობის ხესთან,

თითქოს დავდექი და ისევ ისე  
ზრახვები ძველი ერთად მივუსიე,  
პოვნით თუ ვპოულობ  
მე მხოლოდ სივრცეს,  
კარგით თუ ვკარგავ  
მხოლოდ ილუზიებს.

*დეფი 7 აპრილი 2014*

## **ნისლები ღვთის განცდა**

ნისლები ისმენდნენ ღვთის სიტყვებს  
სამყაროს გავლით დაეშენენ ცამდეც  
დედამინამდეც ჩამოისიზმრეს  
ყველანი ერთად ისინი გავდნენ  
ადრეგარდაცვლილი შუქების სამარხებს  
ჩვენი ამბავი სხვებმაც შეიტყონ  
დღეს ყველა კარი ერთად გავაღე  
თუ კი ოდესღაც ჩავკეტე მე თვითონ

და შემოვუშვი ჩემში და ჩემ მიღმა  
შემოვინათე და თავი ვანდე  
წამით საყაროს შევბაც კი ეღირსა  
წამითაც თვითონ ამ სამყაროს გამჩენს  
მგონი ავემგვანეთ და ყველა კარში  
ჩვენ ერთდროულად ერთად გავიარეთ  
მე და ის ნისლები ახლა სულს ავშლით  
ღმერთის განცდა გვრჩება ასე წამიერი.

*დეფი 20 აპრილი 2014*

\*

შენ მოქმედებ ჩემში,  
შენ ხარ  
შემოქმედი,  
მე ვარ შენით,  
გშვენის შუქი  
ფიქრებს იქით  
შენ იქით ხარ,  
მე აქ გელი

აქ ჩემ სისხლში,  
ჩემ სიტყვებში  
მიმოაქცევ  
ჩემ სიცოცხლეს,



ვინც იცოდეს  
როგორი ხარ  
სამუდამოდ  
ის იცოცხლებს

ის გინოდებს ღმერთს  
და ძალას  
და სინათლეს,  
რასც გინდა,  
წმინდანს შუქი  
გულში მაღავს  
შუქის გულში  
სხივი სხივთან

აიწრდილებს თავს  
და რადგან  
ჩემში შენ ხარ,  
შენ მოქმედებ  
შემოქმედის  
გვირგვინს ადგამ  
კაცს, ვინც ქმნის  
და არც ოცნებებს

ალარც ხიბლის  
სიტკბოებას  
სულთან ახლოს  
არ იკარებს,

გული შუქით  
ითრთოლება  
გულის შუქი  
ღმერთის თვალებს

ყოველ კაცში  
დამანახებს,  
მათ სუნთქვებში  
შენ მოქმედებ  
და სიმღერებს  
და ნახატებს  
მეტყველებას  
შემოქმედის

ყველაფერში ვხედავ,  
ყველგან  
რაც მოხდება  
და რაც მოხდა  
ასე ჩაგვიფიქრა  
ღმერთმა  
მშვიდობათა  
გინდაც ომთა

შუალედებს  
ვიჭერთ წამით  
ამინ  
ნებას შენსას,

გშვენის, დღელამენი,  
მოვლენ, ნავლენ,  
შემოქმედი  
მე ვარ შენით.

*დეფი 6 მაისი 2014*

\*

სურათებს ვხედავ მომხდარს, მოსახდენს,  
დიდი ამბები ჩემს თავს დატრიალდნენ.  
თუ სამშვიდობოს გავაღწევთ ომამდე  
სიცოცხლეს მოვასწრებთ და გზა სამდღიანი

სამად სამ ნაბიჯად მოგეჩვენება,  
მაგრამ სად წავალთ ჩვენ უკვე ომში ვართ,  
სიჩუმე დაიყო უთვალავ ბგერებად  
ხმაური შეიკრა და სისხლის ოხშივარს

უკვე აღარ უჩანს აღარსად ბოლო,  
მხოლოდ მე და შენ არა ვართ ასე,  
სავსეა სამყარო, აქ ყველა ომობს  
ყველა თავის ხმას სხვისი ხმით ავსებს

და ყველას უნდა აქ ყოფნა, სიცოცხლე,  
სიკვდილს კი ვირჩევთ რატომღაც ყოველთვის,  
თუ გინდ სამყარო შენს თვალწინ იწვოდეს,  
ყველაფერს ამ ქვეყნად თავისი დრო ერთვის,

მაინც მოგიწევს აქედან წასვლა  
თუ გინდ სიზმარი არაფერს გაჩვენებდეს,  
სუნთქვანნი ჩვენნი, მძივების ასხმად  
თუ გინდ შევაბნოთ გზათა მაჩვენებლებს

ოღონდ გამოვაგნოთ დიდი უღრანიდან  
ოღონდ სამშვიდობოს სადმე გავალწიოთ,  
ჩემი თუ არ გჯერა ისე სულ არ მინდა,  
ზღვების მიღმა ზღვარზე თუ კი თვალსაწიერს

უფრო გადააშლი მთელ შენს მომავალს,  
რომლის ცოდნა შენთვის ჯერ არ შეიძლება  
წამით შვებას იგრძნობ, ბედმა აქ მოგნახა,  
სევდა გარდაგიქმნა სულის ზეიმებად,

მე შენ გენდობი, მგზავრიც გზას ენდობა,  
გზას ხომ მგზავრი განლევს მომავალ ომამდე  
და ამ უსასრულო სამყაროს შენობას  
ვინ ებინადრება თუ მე ვერ მოგნახე,

რაა მშვიდობა და სიმშვიდეც რაღაა  
მცირე შუალედი, ჩვენ სადაც ვასწრებთ

ერთმანეთისთვის სიცოცხლის გაცემას,  
მიწიდან ცად ააქვთ ნატვრებით სავსე

მტვერი, ჩვენ ნაბიჯებს, ხმებსა და სუნთქვას  
სხვა რომელიმე მომდევნო ომამდე,  
ყოველ შემხვედრსაც იმ მტვერმაც უთხრას  
სურათებს ვხედავო მომხდარს და მოსახდენს

ჩვენც ხომ მტვერნი ვართ, თუ არ ვართ გავხდებით,  
აღბათ ესეცაა აქ ყოფნის აზრი,  
ისე შევიცვლებით როგორც ცა სამხრეთით,  
ყვავილებს, როგორც სურნელი ასდით.

*დეფი 8 მაისი 2014*

\*

ჩვენ ერთნი ვხდებით.  
შენ უკვე მე ხარ.  
ადგილი არ აქვთ  
ხმელეთზე გემებს.  
იმ სანაპიროზე,  
იმ ცაცხვის ხესთან,  
ჯერ აუხდენელ  
სიზმრებში თვლემენ

მეგზური ჩვენი  
ანგელოზები.  
მფარველი ჩვენი  
სუნთქვის და გზების.  
მათ გაღვიძებას  
დაველოდებით,  
გზას გავაგრძელებთ,  
ჩვენ ერთნი ვხდებით

და უკვე გავხდით,  
ჰაერს ვინ გაყოფს.  
ნაყოფს ხესაგან  
ვინ განასხვავებს.  
ანგელოზებსაც აქ  
ჩვენთან ახლოს  
და მთელ სამყაროს  
ან მის ნამსხვრევებს

ჩვენში ყოფნა უნდათ,  
ჩვენში არსებობა.  
ყოველ ამოსუნთქვას  
ჩასუნთქვა ახლავს.  
ერთი ნვეთიც კი  
ზღვას არ განეყოფა,  
მთელი არსებით  
ერთნი ვართ რადგან.

*დეფი 10 მაისი 2014*

\*

სიტყვები სიჩუმეს მიმანიშნებენ.  
ქრება რიჟრაჟი და შებინდებაც.  
ქრება სიზმარიც. მე ვარ ისევ მე,  
ყოველთვის შენს გვერდით  
როცა მეღვიძება.

დ 17 ივნისი 2014

## მადლობას ვიტყვით

ვისმენტ და ვამბობთ,  
ვთესავთ და ვიმკით,  
ჩრდილებს სინათლენი  
სადღაც გადააქვთ,  
სიცოცხლის ბოლოდ  
მივიჩნევთ სიკვდილს,  
თუმცა კი ვიცით  
ის ბოლო არაა,

ჩვენივე სუნთქვის  
სიჩუმე გვმოსავს,  
მოვიდა წამი  
და ისევ წავიდა,  
სიკვდილის მერე

შევხვდებით როცა  
ისევ დავინყებთ  
სიცოცხლეს თავიდან,

თავს ერთმანეთში  
ისევ ამოვიცნობთ,  
სამყაროს კანონს  
რადგან ვიცავდით  
და ყოველ ჯერზე  
ყოველ ამბორისას,  
მადლობას ვიტყვით  
სიცოცხლისათვის.

დ 21 ივნისი 2014

\*

ნატვრები ქმნიან  
ჩვენივე სახეებს  
შუქსაც ყვავილი  
მთელ სხეულს უშლის,  
ბავშვის სიცილიც  
უცებ გახვედრებს  
ღვთის არსებობას  
შენივე გულში.

დ 23 ივნისი 2014



\*

გიორგი. ანდრია. დემეტრე.  
ჩემი სამი ბიჭი.  
ერთი სულისხმად შევეერთდეთ,  
ერთი სინათლით იწვიოთ.

ერთი სინათლით ხედავთ,  
თქვენივე გზებს და საქმეებს,  
დგახართ სიცოცხლის ხესთან,  
ვარსკვლავს აჰყევით ცამდე ერთს.

იარეთ სამივემ თქვენივე თავისკენ,  
სწორედ ეგაა ღმერთისკენ გზაც,  
დაეცით, ადექით, თავიდან დაიწყეთ,  
ახალი აღმართი ძველ დაღმართს ჰგავს.

ყოველთვის თქვენთან ვარ, აქაც და სხვაგან,  
სიტყვა ვართქვენი, გაშლილი სივრცე,  
გახსოვდეთ სისხლი ერთი გაქვთ, მაგრამ  
სამივეს თქვენ-თქვენი გულელები გიძგერთ.

დ. 22 ივლისი 2014

## ფრენისას

ვფრენთ და დავყურებთ მიწას ზევიდან.  
გჩუქნი გამჭვირვალე სინათლიან გულს.  
ხედავ, ნიჭიერს უნიჭო ვერ იტანს,  
თავისუფალი ყველა მონას სძულს.

ხედავ, ადგილი ჩვენთვის მიწაზე,  
არასდროს ყოფილა და ახლაც არ არის  
და სამშვიდობოს ალბათ მისვლამდე  
ერთი, არცერთი ან და მრავალი

თუ ვინმე ნათელი მართლაც გამოჩნდა,  
ჩვენ მასაც ასე გულში ჩავიკრავთ,  
გადის სინათლეს ყველა ჩარჩოდან,  
სანამ ღამდება ისევ თავიდან,

სანამ სიზმრები ჩვენში შემოდიან,  
სანამ სიჩუმე შიშვლდება ხმებად,  
ქრებიან კედლებიც ყველა შენობიდან,  
ქვეყნიერებაც თანდათან ქრება.

ქვემოთ საშიშია ახლა ჩვენი ყოფნა,  
მაგრამ შიშიც ქრება როცა შენთან ვარ,  
შენგან ჩემი სუნთქვა აღარ განიყოფა  
მტევანი ხარობს მთლიან ვენახთან

და ახლა რადგანაც ცაზე დავდივართ  
და ვისაც არ სურთ იმათ ვერ ვშველით,  
ერთმანეთი გვყავს ყველას მაგივრად  
და ავიფრინეთ ყველაზე ზევით,

აქ დავრჩეთ მოდი, ქვემოთ რა გვინდა,  
რადგან დავფრინავთ ამიტომ ვძულვართ,  
ხედავ, სხვა ცა ჩანს სადღაც სხვა მხრიდან,  
იქ მექაჩება ჩემივე სუნთქვაც,

ის ხომ შენია, ის შენ გეკუთვნის,  
შენ გესუნთქები — შენ შეგიხორციე  
და ამსუბუქდნენ ჩვენი სხეულნი  
და დავენაფეთ ფრენით სიცოცხლეს,

მსგავსი ფრენისა არ რა არსებობს,  
ქვეყნად არაფერი მას არ შეედრება,  
უსასრულობის მთელი არსობაც,  
თავს წარმოაჩენს ხმად და ფერებად,

ვხედავთ რომელთაც, ვისმენტ რომელთაც,  
წამით მიწასაც შვება ელირსა,  
თუ რამ გავეცით, უკან მოგვეცა,  
ჩვენ სამახსოვროდ, გრძნობა ფრენისას.

*დ. 20 ივლისი 2014*

## მძივები

მოვედით...

თურმე მთელი გზა ერთად ვიმგზავრეთ.  
ჩვენ გვეღვიძება და თვალებს ვახელთ.  
ერთად ვიხილეთ ერთი სიზმარი.

ვხედავთ...

ერთმანეთში საკუთარ სახეს...  
მაგრამ რატომღაც ისევ გვეღვიძება,  
ღმერთის ვის ესმის თვალსაც ის ახელს  
ცვარი კი რჩება მინდვრის მძივებად,

მიმოფანტული სიზმრად თუ ცხადად  
და მინდვრის ორთქლიც ცად გადავიდა,  
წამით ის თითქოს ჩვენს სუნთქვას ჰგავდა,  
დავყვინთავთ სიზმრად და ისევ თავიდან

ვინცებთ დავინცებას ჩვენი აქყოფნის,  
გაქრნენ სამყარონიც თავისი ომებით,  
დიდი ხნის სამყოფი წამით არ გვეყოფნის  
აი, დასაწყისთან ისევ მოვედით,

აი, აქვე დგანან ჩვენსავით სხვანიც,  
მათაც ჩვენსავით უყვართ და სჯერათ,  
ისინიც ჩვენსავით მოვლენ და წავლენ,  
ზოგიც გაიგონებს ჩიტების ენას,

ზოგიც თავისით დაიდგამს გვირგვინს,  
ზოგს კი განგება თვითონ დაადგამს,  
ვინც ერთი სიტყვით მთელ სათქმელს იტყვის,  
სულის საუნჯის გახსნის სამალავს

და ვინც ისწავლის სიზმრების მართვას  
არც აღარასდროს გამოიღვიძებს  
და ვინც დადგება სამოთხის კართან  
ისიც ასევე, ცვარივით მიძივებს

სუნთქვას თავისას მიმოამსგავსებს,  
ქვეყნად ყველაფერს იმნამს მიხვდება,  
მზეებს-ვარსკვლავებს სულში დანარჩენით  
უსასრულობას ჰკიდებს მიძივებად,

მერე კი თვითონაც ზედ აებმება,  
აღარაფერს ფლობს და მხოლოდ გასცემს,  
ღმერთის და კაცის მთლიან სახებად,  
სიყვარულს ჩვენსას, სინათლით სავსეს,

ყველა მომსვლელის გულში ჩატოვებს,  
ყოველიც ისევ ერთ სიზმარს ნახავს,  
სიცოცხლედ ვიცმევთ სუნთქვის სამოსელს,  
ყოველთვის ნამდვილს, ყოველთვის ახალს.

*დ. 24 ივლისი 2014*

\*

ნატვრა გაქვს ვიცი. მალე აგიხდება.  
ავვისტო შენ გეტრფის მთვარემინანქრიანს.  
ტივიტვებს ღამე სიზმართა ხილვებად,  
ოქროდ იფერება და შენც გიხარია.

ბევრი გინახავს ღამე ასეთი,  
ოლონდ არც ერთთან ნატვრა არ ჩაგითქვამს,  
გეგონა სიზმრად ხარ და პეპლებს დასდევდი,  
ვერავენ გხედავდა იმ უცხო ნაპირას.

ერთი მგზავრის გარდა, ვინც იცის რა გსურს,  
როცა შენც მას ხედავ მიმავალს ზღვისკენ  
ახალი თენდება შენთვის ზაფხული,  
ძველი მთვარეების სიმღერას ისმენ.

ერთად იქნებით შენ და შენი ნატვრა.  
სული დაგითბება მისი ასრულებით.

*დ.26 ივლისი 2014*

\*

მარგალიტები მტევანზე გიდევს.  
ანათებ როგორც კი გაგელიმება.  
კვლავაც თავს დახრი და მერე ისევ  
ოქროს ნისლებს ხარ შებინდება.

ნელა და მშვიდად ღამე შემავსებს,  
ის მთელ სამყაროს თან მიიტაცებს,  
ნამდვილი ღიმილი სინათლით სავსე  
ისევ მინათებს გზას შინისაკენ.

*დ. 27 ივლისი 2014*

## **თანავარსკვლავედნი ქარვის მძივები**

ქარვის უშორეს შუქს ვხედავ აქედან,  
ერთად ყოფნა მინდა შენთან ერთად ყოფნა.  
თითქოს აქ არ ვარ, არ ვიცი რა ხდება,  
ის შენი სიზმარი სიცხადედ მომწყდა,

ირმის ნახტომის თანავარსკვლავედად.  
თვითონ არ მესმის აქ როგორ გიპოვნე,  
ერთად ერთ ნატვრას აევარსკვლავება  
ქარვის მძივებში შუქთა სიცოცხლე.

*დ. 27 ივლისი 2014*

\*

გეტყვი სიტყვებს და სიჩუმეს მოგცემ,  
იცოცხლებ ყოველთვის და იქნები ყველგან,  
ოღონდ ენათე მთელ ჩემ სიცოცხლეს,  
რომელსაც სულში შენი ხმა ედგა.

გეტყვი საიდუმლოს, ყველაფერს გაგანდობ,  
იმედი სულ თან მაქვს და ყველაგან დავატარებ,  
არსით დაისი აისს ჰგავს, საღამოს  
ნადვილი სიმშვიდე სულის სამალავებს

დაბადებისას გადაეფინება,  
რამდენი სინათლეა პირველი სუნთქვისას,  
ისმენ სიჩუმეებს და ის შებინდებაც  
აღგაფრთოვანებს, იქცევი გულთმისნად,

დასაწყისიდან დასასრულამდე  
ერთნი ვიყავით და ვიქნებით ერთნი,  
მიყვარხარ, თან მინდა სულ ყველას უყვარდე,  
ენათე ჩემს სიტყვებს და მე ისევ გეტყვი,

ტყუილს და სიმართელს როგორ განვასხვავებ,  
როგორ ემგვანება არყოფნას ყოფნა,  
ერთი სიცოცხლე იცი არ მყოფნის,  
სევდა არ მიქრება, ჯერაც არ მორჩა,



ურჩი ტყუპებივით ერთად ვიარსებებთ,  
ლომის, ღრიანკალის, მერწყულის გულთან,  
იმ ცის ბინადარებს და იმ ზღვის არსებებს  
სიცოცხლე ჩვენსავით უყვართ და უნდათ,

სიტყვა მასულდგმულებს უცნობი ბევრისთვის,  
აღარავის ესმის სამყაროს ხმა,  
იმდენი ვიარე ცა მხრებზე შევისვი  
და ახლა ჩემი გზა იმ ვარსკვლავს ჰგავს

უდაბნოს ვისიც მე წყალობით გამოვცდი,  
მე ხომ ბედისწერა ხელისგულზე მიდევს,  
ლივლივებს, შენი აქვს შუქი და სამოთხის  
ოქროდ ეცისფრება სამყაროს კიდეს.

*დ. 28 ივლისი 2014*

\*

ჩვენი სინამდვილე ჩვენი სიზმარია.  
ერთად მივცურავთ და ჩვენს თავს ვესიზმრებით,  
მომწონს ასე ყოფნა, სევდა მიხარია,  
ისმის მღუმარება ნისლთა შეფიქრების.

გახსოვს სულ ადრე, როცა კი შევხვდით,  
ზაფხულის რიჟრაჟებს მოვგავდით ორივე,

ადგილი მიპოვნე შენს გულში ჩემთვის,  
ვარსკვლავი გამხადე და სუნთქვა მომხვიე,

ნათება მომავლე გარშემო შენი,  
იერთ ღმერთის, ერთი პოეტის,  
ლამის გამელვიძოს, შენ ღამე გშვენის,  
იქით უკვდავებას აქყოფნის დრო ერთვის.

*დ. 28 ივლისი 2014*

\*

არსად შემხვედრია ვინმე შენი მსგავსი,  
ქვეყნად ბევრი რამ მეუცნაურება,  
ერთი საუკუნით მთლიან დროს გადავცდით,  
დიდი ოკეანის სამალავ ყურესთან

აღმოვჩნდით წამით და თავი შევაფარეთ,  
ნიშანი თილისმა ჩვენ მთვარემ მოგვცა,  
გადაიხუჭავს ღამეც ზენა თვალებს,  
ახლა დაბნელდება და თავის სწორთან

საიდუმლოებს ყოველი გაამხელს,  
ახლა ყველა კარიც ერთად გაიღება,  
სიჩუმე მოიცავს მზეების სამარხებს,  
ვერავინ შეამჩნევს ღმერთის გაღიმებას,

ლოდივით წარსულიც გადაგორდება,  
ეხება ჩემ სიზმარს შენი გალვიძება,  
ლეგა ჩრდილებშიც შენი გამოხედვა  
იქითა მხარეს მე წინ გამიძღვება.

დ. 28 ივლისი 2014

\*

წინასწარ სათქმელს მე სამჯერ ვიტყვი,  
იისფერ სიჩუმეს ხმა მკლავებს უშლის,  
ნამდვილი სიცოცხლე სიტყვა ღვთაებრივი  
ანთია ახლა ჩემივე გულში.

სისხლი მინათებს, მე შენ მიყვარხარ,  
წყევლას გარდავემნი მადლიერებად,  
აქაა სიბრძნე ყოველ სიტყვასთან,  
როგორც მდინარე ზღვად მიერთდება,

მუსიკა, როგორც წმინდა მღუმარება,  
ესმის ჩემს სულს და ისე მეტყველებს,  
ტანიც შიშველი ცეცხლით უნათდებათ  
ყველა ვარსკვლავს თუ აისთა შემხვედრებს,

ვისთვის ვინ არის გზა ბედისწერა,  
ერთის ბედის ხმა მრავლისას წყვეტს,

ლერნამიც ლელეში, როცა შებინდდება  
ისმენს სიჩუმეს ღამე თუ დღე.

დ. 29 ივლისი 2014

\*

შესანიშნავია შენი სიმშვიდე,  
უნაზეს ათინათს გითრთოლებს სახე,  
ახლა სანამ შენ, თმებს გაიშლიდე  
ბოლომდე სიმშვიდით ვისურვე დავტკბე.

ახლა სანამ შენ მომინდებოდი  
ღამეს ვისმენდი, წამით მეგონა  
შენი სუნთქვები გარინდებულნი  
იფანტებოდნენ სადღაც ზემოდან.

დ. 29 ივლისი 2014

\*

ჩრდილებს ავყურებ და გული მიგრძნობს  
ერთხელ ახდება მართლაც სასწაული,  
მართლა მიყვარხარ და არა თითქოს,  
იმედებს ჩემსას მართლაც სად წაუვალ,

თუმცა ცა ახლა ისე აიშალა,  
აღბათ უფრო ზევით ასვლის დრო დადგა,

ღმერთია ამინ, ომ და ინშალაჰ,  
ფიქრით ერთნი ვართ, ჩვენივე ამბავს

რეგვენს და გონიერს ერთად ვუყვებით,  
თავისით ამქვეყნად ან რა მომხდარა,  
ოდესმე გავიგებთ მიზეზებს აქყოფნის,  
ვითვლით ვარსკვლავებს არსით უთვალავთ,

ავაგეთ სამყარო ჩვენივე ზრახვებით,  
ნატვრებით ვაშენეთ, კირქვას არ ვხმარობდით,  
დღეს ერთმანეთის სუნთქვაში ვსახლდებით,  
ირგვლივ მე სინყნარე, მაქვს შენი წყალობით.

*დ. 29 ივლისი 2014*

\*

მე საუკუნო დიდება მომელის,  
ერთი ვარ ქვეყნად და შენ ეს იცი,  
პირველად იყვნენ სიტყვები პოეტის,  
ოქროს სინათლე სულის და სისხლის.

ექოდ მემჩნევა ათასწლეული,  
ზვარაკი, როგორც ღმერთის ქმნილება,  
იქით ცას ვხედავ ვარსკვლავს წრედ უვლის,  
აენტო, მნათობს და მეგვირგვინება.

*დ. 30 ივლისი 2014*

\*

შუალამისას, იმ დიდ სიჩუმეში,  
ერთი წამი დგება, ვერაფრით ახსნი,  
ნეტავ იმ წამისას შენ თუ მისურვებდი,  
ხარ ჩემი ვნება და ჩემი სახლი.

აღარ მანუხებს მარცხი თუ სიმაღლე,  
რატომღაც ყოველთვის შენთან მშვიდად ვარ.  
ლამის შუაგულში სინათლედ მიმმადლე,  
მოვედი შორიდან, ახლოს ვარ მიწასთან.

ერთი ცეცხლით ვიშვით, მუდამ რომ ანთია,  
რამდენი ჰაერია სამყაროს სხვენთან,  
თუმცა წყალივით შეუცნობადია,  
ის ერთი წამი, რომელიც შენ ხარ.

*დ. 31 ივლისი 2014*

\*

დაბრუნდა თუ კი რამ ჩემგან წასულა.  
ავიღე ბეჭედი. თითზე გავიკეთე.  
სამყაროს გავლით მთელი ეს წარსული  
აქამდე მოვიდა და იქცა სიკეთედ.

სიკეთე სიჩუმე ყოფილა თვითონვე,  
რამდენი რამ მინდა ახლა გაგანდო,  
უნდა გამოგიტყდე დუმბილში ვიპოვნე  
ლალის და ძონის და ოქროს საბადო,

იქცა მდუმარებაც ღმერთის მეტყველებად,  
დუმბილიც ყველაფრის პასუხად მივიღე,  
არც ერთი სიტყვა მე არ მეტყვევება,  
დაბრუნდა სიზმარიც და ახდა დილითვე.

აღარც კი მიკვირს თუ კი რამ მიკვირდა,  
სიყვარულს შენსას უსიტყვოდ ვენდობი,  
აქ წყდება კავშირი დროსთან და სიკვდილთან,  
წილი ნაყარია დუმბილით მეგობრის.

ყოველი დადუმდა, ჩემს ირგვლივ სიჩუმეს  
ის და სუმბულის სურნელი ასდის,  
სიცოცხლე ვიგრძენი, ის ჩემ ხმას იჩუქებს,  
ისმის სიჩუმეში სიტყვების აზრიც.

*დ. 31 ივლისი 2014*

\*

დილა სასწაულების წინ, რომანია.  
ერთხელ გადაშლი და ველარ მონყდები,  
კანონთა წიგნის ხმა ისმის მომავლიდან,  
ერთა სასიკვდილო შვიდთავე ცოდვებით.

მარგორა, სინმინდის დედაქალაქი.  
ბიჭი ბაჩანა და სერაფიტე,  
რომელნიც სიცოცხლეს სიკვდილს პარავდნენ,  
ისტორიასაც მტვერი გადანმინდეს.

საიდუმლო გზა ზღვებისკენ წავიდა,  
თავის შეცნობის და წარმავლობის,  
ინყება ტექსტი, პირველი წამიდან  
ლექსი სუნთქვაა, სულთან ამოგდის,

იტყვი და არ იცი გაუძლებ სადამდე,  
სასწაულს მიწით და ცეცხლით და წერილით,  
მარგორას ცის ქვეშ შენ თვითონ აახდენ,  
აღსრულდეს ბედი სიტყვად დაწერილი.

*დ. 1 აგვისტო 2014*



\*

ჩამითქვი ნატვრა, დღესვე აგისრულებ.  
ერთმანეთს ვგავართ, როგორც წვეთი წვეთს.  
მგვანება ჩვენი ვარსკვლავთაიგულებს  
მომაგონებს და სულს წარმიტაცებს.

ახლა მე და შენ ერთი სული გვიდგას,  
ტბების ნისლებიც ჩვენში გაშლილან,  
ყველა საიდუმლო ჩვენ ვიცით სიტყვა,  
უდაბნოს მტვერიც იქცა ყვავილად.

პირველი დანახვის იმ ჩვენ შეყვარებას,  
იასამნების სუნებში აშლილს,  
საჩუქრად მივიჩნევ, ყოფნა შენთან ერთად  
ცხრა მთის გადავლით მაბრუნებს სახლში.

ახლა გზაზე ვარ და გზა ჩემი მომწონს,  
ლექსები ჩემი ჩემთანვე მოვლენ,  
მარგალიტს ზღვის ფსკერზე ნიჟარა როგორც  
აჩენს და ჩუქნის მისივე მპოვნელს.

მივდივარ ჩემგან და შენსკენ მოვდივარ,  
იმედზე უკეთესი და დიდი რამე მაქვს,  
პერანგი მოვქსოვე ამ წუთისოფლიდან,  
ოქროზე უძვირფასეს შუქს ვხედავ აქედან.

ვისთვის გამოსცემს ის სიტბოს ამდენს,  
ნატვრა ჩამითქვი და წამში აგისრულე,  
ოსტატი, როგორც ჩემ წინ მიმოაბნევს  
სამყაროს ქერზე ვარსკვლავთაიგულებს.

*დ. 1 აგვისტო 2014*

\*

დამაქვს დაფიონის სიმშვიდე გულით.  
ესმის ჩემი ხმა ვისაც ყური აქვს.  
მთელს დედამინას გარშემო ვუვლი,  
ნაბიჯი აღმართის დასასრულია.

ანთია ჩემში იმხელა სინათლე  
გზას გაუნათებს ჩემს მერე სხვებსაც,  
ერთხელ შეყვარება მე შენთვის ვინატრე  
და შენც სახელად სევდა მსურს გერქვას.

ერთი სიტყვა ვთქვი, გულით მიიღე,  
ვარდი ვარდია და არა მცენარე,  
აღმართზე ასასვლელ გზებსა და ბილიკებს,  
ნაბიჯების ხმა აიმწვერვალებს.

იყავი ვინც ხარ, შენი ბედობაა,  
შეყვარებული და თუ გსურს შეშლილიც,

ვარსკვლავი თუ ხარ რა მნიშვნელობა აქვს  
ირმის ნახტომზე იფრენ თუ ივლი.

ლექი დაწდება ადრე თუ გვიან,  
იბედნიერებ, იგრძნობ სიცოცხლეს  
დედამინასაც სახლი თუ ჰქვია  
ამიერიდან ყველგან იცხოვრებ.

სადაც მოისურვებ მეც იქ გავჩნდები,  
ერთად მივინდობ სიცოცხლის ნებას,  
ვისმენ სიჩუმეს, შინაარსს ჰანგების,  
დაფიონების ნათება მნებავს.

იპოვნე ბოლო და დასაწყისს მიაგნებ.  
ახალი ღვინობის სული აქვს გვიანდელს.

*დ.2 აგვისტო 2014*

\*

სიტყვა დასაწყისში იყო  
და სიტყვა იგი ვიყავი მე.  
იყო იდეა, ღვთაების  
პირმშო. ყოველი ჩვენგანის  
სული და ზნე.

*დ.3 აგვისტო 2014*

\*

გაჩუმდი. უსმინე წამის შეთრთოლებას.  
იტყვი რამეს და სიჩუმეს მოკლავ.  
ყველაფერს მიხვდები, დრო სულ მეორდება,  
ვიცი ყოფნა გსურს შენივე სწორთან.

არსებობს აქყოფნის ერთი სინამდვილე,  
რასაც კი განიცდი სხვამ გინდა იცოდეს,  
დილის გაღიმება ღამეს გაადვილებს,  
ერთად ორივე კი მთლიანად სიცოცხლეს.

თვალეები ასეთ დროს ფართოდ გეხილება,  
დროც მოგეჩვენება დიდ სიცარიელედ,  
არსებობს სიკვდილიც, ჩრდილებზე სხივებად  
ერთხელ გამოჩნდება და თავს იცარიელებს.

ყველაფერს კვალი აქვს, თუნდაც გაფიქრებას,  
ვარსკვლავი იფშვნება შუქის ნამცეცებად,  
არსებობს სიმშვიდეც ზღვების ნაპირებთან,  
როცა ბავშვობისას თავი გახსენდება,

ელვაც კრთომისას ცას იმშვენიერებს,  
ბავშვობას ნატრობ თავიდან იქმნიდე,  
იღებ და გასცემ და ერთ მშვენიერ დღეს  
თვითონვე ხდები ღმერთის სინმინდე.

*დ. 4 აგვისტო 2014*

\*

სიტყვა დასაწყისში იყო  
და სიტყვა იგი ვიყავი მე.  
იყო იდეა, ღვთაების  
პირმშო. ყოველი ჩვენგანის  
სული და ზნე.

თუ კი რამ იყო, თუ რამ შექმნილა,  
იქნება ისევ და კვლავ შეიქმნება.  
სინათლის სითბოდ ღვინო  
ქვევრიდან, ამოიმღერებს  
თავს და სიტყვებად

მიმოეფანტება დედამინაზე,  
მიმოესუნთქება ყველას და იწყებს  
ამეტყველებას, ჩვენ გვაქვს  
უფლება, შევესისხლხორცოთ  
ჩვენივე სიტყვებს.

უფრო ახლოს ვართ ასე  
ერთმანეთთან, უფრო ახლოს ვართ  
საკუთარ თავთან, მაგრამ სიმართლეს  
ვიგებთ და ვდუმდებით... და  
სიჩუმემაც სიტყვები შთანთქა.

*დ.5 აგვისტო 2014*

\*

დიდება პოეტს გულებს ვინც ამხელს,  
ერთად აანთებს, სიტყვითვე დაწვავს,  
ფერფლს მიმოაპნევს და თავის სახელს,  
ირმის ნახტომზე შეაბნევს ვარსკვლავს.

*დ. 6 აგვისტო 2014*

\*

მანიჭებ ძალას  
ვიყო და შევძლო,  
მხოლოდ სიმშვიდე  
მე გულს მინათებს,  
ჩემო მეგობარო  
და ჩემო ღმერთო,  
მანთავისუფლებს  
რადგან სიმართლე.

*დ. 7 აგვისტო 2014*

\*

სიკვდილის მერეც  
ყოფნა მსურს გთხოვო,  
ყოველთვის მესმის  
ყველგან შენი ხმა,

სიმშვიდე ჩემო  
და ჩემო ცოლო,  
ვცოცხლობ მე რადგან  
შენ ჩემ გვერდით ხარ.

დ. 8 აგვისტო 2014

\*

გალობს მაგალობელი, თან მეუბნება:  
ულმერთოდ ყოფნა მოსაწყენია.  
ლამის ცა მიდგას ზედ ჩემ ყურებთან,  
ისეთი ხმა მესმის ლამის მღერიან

ძველი თუ ახალი ვარსკვლავნი ერთად,  
გარშემო მივლიან თავისი შუქებით,  
ერთ მათგანს ყოველთვის მოვყავარ შენთან,  
როცა ჩუმად ხარ და გეუბნები:

საოცარია სიმშვიდე შენი.

დ. 9 აგვისტო 2014

\*

მადლი ყოველთვის გამჭვირვალეა.  
აზრებმა ღმერთისამ ჩვენ გვიგულისხმა.  
მიმოფანტულნი საით არიან,  
არავინ იცის გარდა სიჩუმისა.

დარდიც ასევე გამჭვირვალეა.  
ერთად ღმერთთან ყოფნა მართლაც ვის ეღირსა.  
დილას ასეთ დროს ღამის სახე აქვს,  
არავინ ხედავს გარდა სიზმრებისა.

*დ. 10 აგვისტო 2014*

\*

შენში სიცოცხლეა სიკვდილის გარეშე.  
უსასრულობაა შენში. სწორედ ისეთი,  
მე როგორც მესმის უსასრულობა,  
მე როგორც მიყვარს და მსურს  
მივემგვანო.  
ჩემივე თავს მსურს ვგავდე და ვიყო  
ზუსტად ისეთი, როგორიც მე ვარ,  
როცა კი შენში თავს აღმოვაჩინ  
და ვიმოსები შენივე სუნთქვით.

*დ. 18 აგვისტო 2014*



\*

მე შენს სიყვარულს, როგორ დავიტევ,  
თუ არ დავტოვე ყველა სურვილი,  
თუ არ მივატოვე ყველა სიზმარი  
სიცხადის კართან და მერე ისევ  
თუ არ ავხედე სახებას შენსას,  
უდასასრულოდ ყოფნას ვინც იწყებს  
ჩვენი შეყვარების ყოველი წამისას.

დ. 18 აგვისტო 2014

\*

გგონია მე და შენ შემთხვევით შევხვდით?  
შემთხვევით ქვეყნად განა რამე ხდება?  
თუ რამე ვისურვე, ვისურვე შენთვის,  
საკუთარ სიმშვიდეს, საკუთარ ვნებას

შენშივე ვხედავ, ასე ვიაზრებ  
მთელს ჩემს არსობას და ვინაობას,  
გამოჩნდა ღამეშიც დიდი სიახლე  
თანავარსკვლავედთა ახალი თაობა,

ყოველი მათგანი ჩვენგან დაიბადა,  
ყოველი მათგანი ჩვენს სულს დაატარებს,  
სიზმრებიც შეყოვდნენ შუალამის კართან,  
როგორც მუსიკას, როგორც ნახატებს,

როგორც პოეზიას და სიმარტოვეს,  
ჩემივე სისხლი წვეთ-წვეთ განიცდის  
შენთან ერთად ყოფნას, მინას ვათხოვე  
ნაბიჯი ჩემი, სევდა დაისის.

დ. 19 აგვისტო 2014

\*

ბავშვობა ჩემი სურნელით ვიცანი.  
ვდგავარ ოდესღაც ნანახ ზღაპართან.  
სიზმარიც თავისი სიტკბო-სიმწარით  
არც დანყებულა ისე დამთავრდა.

ერთ წამში გამოჩნდნენ დილის მაცნენიც.  
წყენა თუ ტკივილიც ერთ წამში დამშორდა.  
პატიმარივით კედლებს ვაწყდები,  
სურნელით როცა ვცნობ მე ჩემს ბავშვობას.

დ. 24 აგვისტო 2014

\*

ტბაზე ნისლია და ზეცისფერი  
გამჭვირვალეებით სიზმარში ვფრენ.  
მე თუ ჩემივე თავს ვესიზმრები  
ამავე სიზმარში გიპოვნის შენც.

დ. 25 აგვისტო 2014

## სარჩევი

შენ სახეს ვხედავ, სამოთხეს ვხედავ . . . . .	11
ბევრჯერ მინდოდა მე მისთვის მეთქვა . . . . .	11
ანგელოზებო თქვენ გესმით ჩემი . . . . .	12
ჭკვიანმა კაცმა ასე თქვა ერთხელ . . . . .	13
ანგელოზებო თქვენ ჩვენ შორის ხართ . . . . .	14
შენ თვითონ ნახავ ყველაფერს . . . . .	15
როცა ვინმე კვდება, მე ვკვდები . . . . .	16
12 . . . . .	16
ზეცა, მეგობარო, ჩვენში ყოფილა . . . . .	19
სული მიდგას მღუმარების . . . . .	19
მომესმის სუნთქვა შენი სიზმრიდან . . . . .	20
დღეს ღია ცის ქვეშ . . . . .	21
ყველაფერია შესაძლებელი . . . . .	22
ყოველთვის . . . . .	23
აქ და ახლავე მჭირდება . . . . .	25
ჩემ ხელისგულებზე ხაზები იცვლება . . . . .	26
სიზმრები შენი მიმოგაფრენენ . . . . .	26
აქ, ახლა ჩემ წინ, ყველაფერია . . . . .	26
ნუ გეშინია, რალაცა იცვლება . . . . .	27
იქ ნამყოფია ყოველი ჩვენგანი . . . . .	28
თვალებს როცა ვხუჭავ . . . . .	28
სიჩუმე წიგნის სახლში . . . . .	30
შენ ახლა გძინავს . . . . .	31
ჩემში გამოვსახე . . . . .	33
გახსოვდეს მეგობარო . . . . .	36

ზოგჯერ შენთან ვარ ყველაზე ახლოს . . . . .	37
Я замираю, сливаюсь с тенью . . . . .	39
ის ისმის . . . . .	39
შემომანათე . . . . .	41
მე დავკარგე მდინარეები და ზღვები . . . . .	45
ნამი სიცოცხლის . . . . .	47
წინ ნავლენ დრონი . . . . .	48
მთლიანი ცაა . . . . .	48
ერთადერთი სიტყვით . . . . .	48
მანიფესტი ალფა და ომეგა . . . . .	50
Das Manifest Alpha und Omega . . . . .	52
The Manifests Alpha and Omega . . . . .	53
ყველაფერს მიიღებ . . . . .	54
The Twelve Angeles . . . . .	56
მინანქარს . . . . .	58
როცა თენდება, იმწამს ღამდება . . . . .	59
The Way Home . . . . .	61
იცვლება შენი განწყობა, როგორც სიზმარი . . . . .	62
მე ყოველდღე მახლოვებს . . . . .	63
არსებობა სხვისთვის . . . . .	64
ხალხი... . . . .	65
სამშვიდობოს მივადგე და გავუძლო . . . . .	67
იქ, ზემოთ . . . . .	67
ვინ აჩენს მშვიდობას . . . . .	68
ზღვის სურნელება... . . . .	69
შეხედე მეგობარო . . . . .	69
90 . . . . .	71
12.12.12. — 12:12:12 . . . . .	73

ჩემი სხეული შენია . . . . .	74
უკვე დავინახე . . . . .	75
ჩემი ღიმილი ძალას გაჩვენებს . . . . .	75
სიტყვა სირუმეს გარშემო უვლის . . . . .	76
სიკვდილი, იგივე სიცოცხლეა . . . . .	76
უმანკობა ბავშვობას ნაჰყვა . . . . .	77
ჩემ წინ სამყარო იშლება . . . . .	77
შენთან გაღვიძება დაბადებაა . . . . .	78
ზოგჯერ წამი დგება . . . . .	78
ჰო, მე მიყვარხარ შენ, ანგელოზებზე მეტად . . . . .	79
ჩემი მომავლის შესახებ თუ რამე იცი . . . . .	80
სამამდე დავითვალოთ . . . . .	81
სიყვარულისთვის . . . . .	82
სამყაროს შექმნიდან დღევანდელ დღემდე . . . . .	83
ღმერთი მოქმედებს ჩვენი ტვინებით . . . . .	84
სიკვდილის წამისას ყველაფერს გავიგებ . . . . .	84
სიზმართა მუსიკა . . . . .	85
საქართველო . . . . .	86
შიშები შენი სიკეთეები . . . . .	87
სულ ერთი წამით . . . . .	88
ზღაპრად ჩაივლიდა ეს ყველაფერი . . . . .	91
ნიჭიერება ყოველთვის განსაცდელშია . . . . .	92
ავყურებდი თოვლებს . . . . .	92
ჩრდილებს შუქებისგან . . . . .	93
ოცდაერთ ივნისს გავჩნდი . . . . .	93
ყოველდღიურობა . . . . .	95
რა მაიძულებს შენკენ ვილტვოდე . . . . .	95
თუ გეძახი, მაშინ მოდი . . . . .	96

მანძილი შენამდე . . . . .	97
სიზმარი გაქრა . . . . .	98
სიცოცხლე . . . . .	98
ფარდა ახსენით ყველა საიდუმლოს . . . . .	98
ახალი დღე . . . . .	99
შემთხვევა . . . . .	99
სიჩუმე სიცარიელის . . . . .	100
მთაზე ადიოდა მთელი ჩემი გზა . . . . .	102
ავყურებ კედელს . . . . .	102
შეხედე იმ ვარსკვლავს საით წავიდა . . . . .	103
მიყვარდა ის . . . . .	103
სიჩუმეს ვეხმიანები . . . . .	104
წყალზე დავენერდი სიზმრად რა ვნახე . . . . .	104
შემეხე . . . . .	105
ჩრდილი საკუთარი . . . . .	106
სილარიბეშია სიმდიდრე... და . . . . .	106
იქცნენ სუნთქვანი საფლავის . . . . .	106
და ვნება ჩემი ჯერ ისევ ღვივის . . . . .	107
ერთნი . . . . .	108
წვიმების შემდეგ . . . . .	110
თითქოს სითბოდან ყინვაში გავდივარ . . . . .	110
ჰაერზე ვპოულობთ ჩვენ ფეხის სადგამს . . . . .	111
ლამეში ჩავენქით... . . . .	112
ქალი ქარგვისას უცებ გაჩერდა . . . . .	113
მთვარე ტივტივებდა . . . . .	114
ლამეა . . . . .	115
...ჩვენ დავიკარგეთ, გვითხარი რა ვქნათ... . . . .	115
გზებზე მიყრილი ქვები . . . . .	116

სიკეთენია თუ კი რამ ქვეყნად . . . . .	118
დღესასწაულზე . . . . .	118
თანავარსკვლავედნი გადმოხრილიყვნენ . . . . .	119
მისი სიტყვები აღარ ასვენებდნენ . . . . .	121
ადამიანებს ისინი არ ჰგავდნენ . . . . .	122
შუადღეს მოჰგვარეს და წარუდგინეს . . . . .	123
აუნთე გული . . . . .	124
ჯერ ისევ ბნელოდა... . . . . .	125
და როცა შემოვიდა . . . . .	125
მთელი სამყაროს თითქოს ზემოდან . . . . .	126
ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე . . . . .	127
და სულ ბოლოს . . . . .	128
და ყველგან სინათლე . . . . .	129
ბოლოს ყველაფერი მაინც კარგადაა . . . . .	129
აქ, რომ იცოცხლო მკვდარი უნდა იყო . . . . .	129
წვიმების შემდეგ . . . . .	130
არ მოიწყინო . . . . .	131
ქიზიყში აღდგომისას . . . . .	132
ცას ავხედე . . . . .	132
მიყვარდე მინდა . . . . .	133
„ვერაფერს მიაღწევს“, ფიქრობდნენ მტრები . . . . .	134
ჩვენ ისევ მოვკვდით . . . . .	134
როგორც სხვას ვძულვარ, ისევე მიყვარდეს მე . . . . .	134
შეხედე ქალაქებს, სოფლებს და ქვეყნებს . . . . .	135
რა აქვს საერთო ნაცარს და კოცონს . . . . .	136
ერთად გავაჩენთ . . . . .	137
მე ცა ვარ . . . . .	138
ჯერ იბადები . . . . .	138

არსი სიზმარის სიკვდილს . . . . .	139
ზედ მწვერვალებზე . . . . .	140
თვითონ შუქია ჩემი . . . . .	140
ფრთოსნები ფრენისას ნაკვალევს ტოვებენ . . . . .	143
უკვე არ ვეკუთვნი შენ სიმარტოვეს . . . . .	143
მე და შენ თითქოს სხვის სიზმარს ვგავდით . . . . .	144
აქედან ნავედი . . . . .	145
აქ აღარ მინდა ნეტავ ნამიყვანდნენ . . . . .	146
როგორც კი გავიღვიძებთ . . . . .	146
მე ზღვარზე ვდგავარ . . . . .	147
დაე ჩვენ სიტყვებს სინათლე მოჰქონდეთ . . . . .	149
გვერდი სიზმარმა . . . . .	149
ჰინდუ . . . . .	150
თივის სუნი აქვს ზაფხულს . . . . .	151
სინამდვილეა . . . . .	152
ნახვალ გადარჩები . . . . .	152
ნირვანა . . . . .	154
სუნთქვა . . . . .	155
გიყვარდეს . . . . .	155
ბრუნდები სახლში . . . . .	156
მოდით სიყვარული გავაუკვდავოთ . . . . .	157
მე დავიბადე . . . . .	157
დემეს . . . . .	158
გეტყვი მიყვარხარ . . . . .	159
ლამით ჩუმად ვართ . . . . .	160
სიტყვა ჩვენში . . . . .	161
ყველა ქარმა ერთდროულად ამოიდგა სული . . . . .	162
სიჩუმეში . . . . .	163



ხმა ერის ხმა ღვთისა, კი ასეა . . . . .	164
შემომიშვებთ? . . . . .	165
ყოველი წყენა დღეს დამავინწყდა . . . . .	166
ნისლები ღვთის განცდა . . . . .	167
შენ მოქმედებ ჩემში . . . . .	168
სურათებს ვხედავ მომხდარს, მოსახდენს . . . . .	171
ჩვენ ერთნი ვხდებით . . . . .	173
სიტყვები სიჩუმეს მიმანიშნებენ . . . . .	175
მადლობას ვიტყვით . . . . .	175
ნატვრები ქმნიან . . . . .	176
გიორგი. ანდრია. დემეტრე. . . . .	177
ფრენისას . . . . .	178
მძივები . . . . .	180
ნატვრა გაქვს ვიცი . . . . .	182
მარგალიტები მტევანზე გიდევს . . . . .	183
თანავარსკვლავედნი ქარვის მძივები . . . . .	183
გეტყვი სიტყვებს და სიჩუმეს მოგცემ . . . . .	184
ჩვენი სინამდვილე ჩვენი სიზმარია . . . . .	185
არსად შემხვედრია ვინმე შენი მსგავსი . . . . .	186
წინასწარ სათქმელს მე სამჯერ ვიტყვი . . . . .	187
შესანიშნავია შენი სიმშვიდე . . . . .	188
ჩრდილებს ავყურებ . . . . .	188
მე საუკუნო დიდება მომელის . . . . .	189
შუალამისას . . . . .	190
დაბრუნდა თუ კი რამ ჩემგან წასულა . . . . .	190
დილა სასწაულების წინ, რომანია . . . . .	192
ჩამითქვი ნატვრა, დღესვე აგისრულებ . . . . .	193
დამაქვს დაფიონის სიმშვიდე გულით . . . . .	194

სიტყვა დასაწყისში იყო . . . . .	195
გაჩუმდი . . . . .	196
სიტყვა დასაწყისში იყო . . . . .	197
დიდება პოეტს გულებს ვინც ამხელს . . . . .	198
მანიჭებ ძალას . . . . .	198
სიკვდილის მერეც . . . . .	198
გალობს მგალობელი . . . . .	199
მადლი ყოველთვის გამჭვირვალეა . . . . .	200
შენში სიცოცხლეა სიკვდილის გარეშე . . . . .	200
მე შენს სიყვარულს, როგორ დავიტევ . . . . .	201
გგონია მე და შენ შემთხვევით შევხვდით? . . . . .	201
ბავშვობა ჩემი სურნელით ვიცანი . . . . .	202
ტბაზე ნისლია და ზეცისფერი . . . . .	202



სივსტა

ჩვენი სივსტა!